

ქართული გალობა  
ანთოლოგია

Georgian Chant  
Anthology

V I



# გამოცემა ეძღვნება

საქართველოს სამოციქულო,  
ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიის  
ავტოკეფალიის აღდგენიდან 100

და

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

აღსაყდრებიდან 40 წლისთავს

\* \* \*

This Edition is Dedicated to the  
100<sup>th</sup> Anniversary of the Restoration of the Autocephaly  
of the Georgian Apostolic Autocephalous  
Orthodox Church  
and the  
40<sup>th</sup> Anniversary of the Enthronement of the

Catholicos-Patriarch of All Georgia,

Ilia II



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
The Folklore State Centre of Georgia

ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

# ქართული გალობა

## ანთოლოგია

### ტომი VI

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

ძლისპირნი

Georgian Chant  
Anthology

Volume VI

The Chanting Tradition of Western Georgia

Heirmoi

თბილისი  
Tbilisi  
2018



ანთოლოგიის VI—VIII ტომებში ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის მიერ ნოტირებული დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ძლისპირთა კრებულებია წარმოდგენილი: ე. კერესელიძის ხელნაწერი წიგნები Q684, Q687 და Q689 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ეს ხელნაწერები სრული სახით პირველად ქვეყნადება.

წინამდებარე, VI ტომში დაბეჭდილია საგალობლები ხელნაწერიდან Q684. მასში მოცემულ ჰიმნთა უმეტესობა ძლისპირია.

Collections of heirmoi from the Western Georgian chant tradition notated by Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze are presented in Volumes VI-VIII of the Anthology: E. Kereselidze's manuscript books Q684, Q687, and Q689 (kept at the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts). This is the first time these manuscripts are being published in full. Chants from manuscript Q684 are printed in the present Volume VI. The majority of hymns shown in it are heirmoi.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
The author and Project Leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

VI ტომის შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი — ლევან ვეშაპიძე  
Compiler and musical editor: Levan Veshapidze

შესავალი წერილების ავტორები — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, ჯონ გრემი  
The authors of introductions: Svimon (Jiki) Jangulashvili, John Graham

კომენტარების ავტორი — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
The author of comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსულან წურწუმია და თამარ ჩხეიძე  
Editors: Rusudan Tsurtssumia, Tamar Chkheidze

მთარგმნელები: ერიკ ჰალვორსონი, მარიამ ცოცხალაშვილი, ლევან ვეშაპიძე (უმცროსი)  
Translators: Eirik Halvorson, Mariam Tsotskhalashvili, Levan Veshapidze (junior)

ინგლისური ტექსტების რედაქტორი — ჯონ გრემი  
English text editor: John Graham

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე  
Computer services: Levan Veshapidze

დიზაინერი — ნიკოლოზ გოგაშვილი  
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი — ნინო რაზმაძე  
Project coordinator: Nino Razmadze

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
Folklore State Centre of Georgia

© ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)  
ISMN 979-0-802101-27-2 (მეექვსე ტომის)

## შესავალი

ანთოლოგის VI, VII და VIII ტომები, საერთო სათაურით „ძლისპირნი“, წარმოადგენს ე. კერესელიძის ხელნაწერი კრებულების Q684, Q687 და Q689 პუბლიკაციას. ეს სამი ხელნაწერი კრებული სხვადასხვა ლიტურგიკული ჟანრის საგალობლებს შეიცავს, მაგრამ მათ შორის უმეტესობა ძლისპირია. ამ კრებულიდან ორი — Q684 და Q689, თავად ე. კერესელიძის მიერაა სახელდებული: — „სძილისპირთა საგალობელნი“. Q687-ს ასეთი სათაური არა აქვს, მაგრამ ისიც ძლისპირთა კრებულს წარმოადგენს.

Q687-ის 1r გვერდზე ე. კერესელიძის მინაწერია: „სძლისპირები არის მე-12-ე „წიგნში“, მე-13-ე, მე-14-ე და მე-9-ე [წიგნში]“. „XII წიგნი“ ხელნაწერი Q687-ია, XIII — Q688, XIV — Q689, IX — Q684. აღსანიშნავია, რომ ე. კერესელიძის მინაწერის მიუხედავად, ძლისპირები არ წარმოადგენენ საგალობელთა უმრავლესობას Q688-ში, დანარჩენი 3 კრებულისაგან განსხვავებით, რომლებშიც საგალობლების აბსოლუტური უმრავლესობა ძლისპირებია.

სხვა ლიტურგიკული ჟანრების საგალობლებთან ერთად, გარკვეული რაოდენობის გელათის სკოლის ძლისპირები, Q688-ის გარდა, ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის თითქმის ყველა ხელნაწერ კრებულშია შეტანილი. ისინი ანთოლოგიაში დაიბეჭდება არა ერთად თავმოყრილი სახით, არამედ, ისე, როგორც ქორიძე-კერესელიძის კრებულებშია მოცემული — სხვა ჟანრის საგალობლებთან ერთად. VI—VIII ტომებში კი ქვეყნდება საკუთრივ, ძლისპირთა ჟანრისადმი მიძღვნილი კერესელიძისეული 3 ხელნაწერი კრებული.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მუსიკოლოგიაში ძლისპირები ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ხელნაწერების ნაკლებად მისაწვდომობაა (რის აღმოფხვრასაც ემსახურება ანთოლოგია), ხოლო, მეორე მხრივ, ძლისპირთა მეტად დიდი რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ ქორიძისა და კერესელიძის იმ კრებულებში, რომლებშიც სისტემატიზებული სახითაა ჩანსრილი დღესასწაულთა საგალობლები, ძლისპირებიც სხვადასხვა ასპექტით (კალენდარი, ტიპიკონი, პოლიფონიურ-ფაქტურული თავისებურებები) არის სისტემატიზებული: მოცემულია 8 ხმის ძლისპირები, თანმიმდევრობით დალაგებული ცალკეული ხმების ძლისპირთა კორპუსებით; ან მოცემულია მთლიანი „გალობანი“; ან თანმიმდევრობითაა დალაგებული ცალკეული კანონის ძლისპირები, ერთსახელიანი ძლისპირების „სადა“ და „გამშვენებული“ ვარიანტები და ა.შ.

Q684, Q687 და Q689 ხელნაწერებში კი გვხვდება როგორც ცალკეული დღესასწაულების ერთად თავმოყრილი ძლისპირები (ზოგჯერ არასრულად ან უსისტემოდ ჩანსრილი), ასევე, არათანმიმდევრულად მოწოდებული სხვადასხვა დღესასწაულისა და სხვადასხვა ხმის ძლისპირები.

ამ სამ კრებულში მოცემული ძლისპირები, ძირითადად, ნაკლებად პოლიფონიზებული ფაქტურის მქონე, „სადა“ საგალობლებია. ამასთან, მათ შორის გვხვდება „გამშვენებული“, განვითარებული კონტრაპუნქტით აგებული ცალკეული ჰქონილი პიმნებიც, „ჭრელი“ ნიმუშებიც, ასევე, ძლისპირები „გამშვენებული“, მელიზმატიკური პირველი ხმით, მაგრამ ნაკლებად პოლიფონიზებული, „სადა“ ფაქტურით (ისევე, როგორც სხვა ჟანრებისა თუ სკოლების მრავალ ნიმუშში).

ამ კრებულებში, ასევე, მოცემულია რიგი ძლისპირებისა, რომელთა მხოლოდ 1 ხმაა ნოტირებული — ჩანსრისას ფ. ქორიძის, გადაწერისას კი ე. კერესელიძის

მიერ (მინანერებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი ასეთი საგალობლის II-III ხმები, ე. კერესელიძის თხოვნით, რაუდენ ხუნდაძისა და ივლიანე ნიკოლაძის მიერაა შეწყობილი).

ზოგჯერ ხელნაწერებში არაა მითითებული, თუ კანონის რომელ გალობას და 8 ხმის სისტემის რომელ ხმას მიეკუთვნებიან VI—VIII ტომებში მოცემული ძლისპირები. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შევძელით ამ დაკლებული ინფორმაციის მოძიება და კონკრეტულ საგალობლებთან აღნიშვნა. სხვაგან (სადაც ოდის ნომრის და ძლისპირის ხმის გარკვევა ვერ მოხერხდა) ჩვენ კითხვის ნიშნები გვაქვს დასმული.

ზოგადად, ალსანიშნავია, რომ ძლისპირების მიმართება 8 ხმის სისტემასთან ქართულ მუსიკოლოგიაში ნაკლებადა გამოკვლეული.

ვიმედოვნებთ, რომ ანთოლოგია „ქართული გალობა“ დაეხმარება მკვლევართ ამ და სხვა პრობლემატიკაზე მუშაობაში.

VI—VIII ტომებში მოცემული საგალობლები პირველად ქვეყნდება და ხდება ხელმისაწვდომი ქართული გალობის მოყვარულთა ფართო წრეებისათვის.

\* \* \*

ანთოლოგის VI ტომში დაბეჭდილია საგალობლები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული Q684 ხელნაწერიდან. ამ ხელნაწერში მოცემული 149 საგალობლის ჩამნერია წმიდა ფილიმონ მგალობელი, ერისათვის თავდადებული (ქორიძე), ხოლო გადამწერი — წმიდა აღმსარებელი, იღუმენი ექვთიმე (კერესელიძე). ფილიმონ ქორიძეს ეს საგალობლები ანტონ დუმბაძისაგან ჩაუწერია, თანახმად ხელნაწერ Q684-ის ე. კერესელიძისეული სათაურისა: „წიგნი მეცხრე, ოზურგეთში დაწერილი სძილისპირთა საგალობელნი, ანტონ დუმბაძისაგან გადაცემული“.

ცნობილია, რომ ანტონ დუმბაძე ქართული გალობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოღვაწე იყო. იგი გახლდათ სრული მგალობელი, მოღვაწეობდა როგორც საქართველოში, აგრეთვე, ათონის მთაზეც ქართველთა სავანეში, აღიარებული იყო, როგორც იმ დროინდელ საქართველოში ყველაზე გამორჩეული მცოდნე ქართული გალობისა (დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციებისა), რომელმაც იცოდა უნიკალური ნიმუშები, მათ შორის ისეთებიც, რომელთა სხვა მცოდნეც აღარ იყო დარჩენილი ცოცხალთა შორის. ა. დუმბაძე მუდმივად იხსენიება ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერ თუ ნაბეჭდ კრებულებში, როგორც ნოტირებული საგალობლების ერთ-ერთი გადმომცემი (სხვა დიდ მგალობლებთან ერთად).

გაზეთ „ივერიაში“ (1884, 6 ივნისი, №126, გვ. 2-3) „გალობის ერთი მოყვარულთაგანი“ ანტონ დუმბაძეს უწოდებს „ყველასგან დიდად პატივსაცემს, გამორჩენილსა და თავ მგალობელს“ (შუღლიაშვილი, 2015:140). იგივე ავტორი „ივერიაში“ (1893, 27 V, №108, გვ. 2) ამბობს: „ანტონ დუმბაძე არის სრული წარმომადგენელი ჩვენის გალობისა. იმისი სახელი და ქება მთელს საქართველოს კიდის კიდემდეა მოფენილი; იმას არა ჰყავს სწორი და ბადალი გალობაში. იმისი ტკბილი, ლმობიერი და რიხიანი გალობა ვის გულს არ გაათბოს ტკბილის გრძნობით და არ აღანთებს კეთილის საქმისათვის? იმისი გალობა მთელს წარსულს მოაგონებს კაცსა, გულს აუკვნესებს, მომავლის იმედს მისცემს და სიხარულის ცრემლს აფრქვევინებს. გულჩვილსა და სამშობლოს მოყვარულ კაცს ამ დროს ხელსახოცი უნდა ეჭიროს ხელში, რომ ეს გლოვისა და თან ნუგეშის

ცრემლი თვალიდგან მოიწმინდოს. მეტადრე ზოგიერთი ისეთი საგალობელია, რომ არ შეიძლება კაცის გული არ აადუღოს და დროებით მაინც არ დაავიწყოს ყოველივე სიავე... იმის სახელს არ დაივიწყებს მთელი საქართველო და იმის გადაღებულ გალობის ღალადებასთან ერთად შეერთებული იქმნება იმისი სახელიც” (შუღლიაშვილი, 2015:230). თავადაც დიდი მგალობლის — რ. ხუნდაძის თქმით: „ქართველთა შორის ანტონ დუმბაძის თანა მგალობელი არ იყო ამ ასი წლის განმავლობაში“ (შუღლიაშვილი, 2015:452).

ანთოლოგიის VI ტომი, სხვა ტომებთან ერთად, ა. დუმბაძის მაღალი სულიერებისა და ხელოვნების, ფენომენალური ნიჭიერების კიდევ ერთი დადასტურებაა, ისევე, როგორც წმინდანებად აღიარებული ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის თავდადების და ღვაწლისა ეროვნული კულტურის წინაშე.

\* \* \*

საგალობელთა პოეტური ტექსტების, აგრეთვე ხმისა და კანონის გალობათა დაზუსტებაში, ძირითადად, დავეყრდენით გამოცემას „ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A-603)“ (კიკნაძე, 1982). ხელნაწერები — X საუკუნეში შესრულებული A-603 და XIX საუკუნის Q684 (ისევე, როგორც ქორიძის, კერესელიძის, კარბელაშვილების და სხვათა სამგალობლო-სანოტო ჩანაწერები) მრავლისმთქმელი დოკუმენტებია, რომლებიც ადასტურებენ ქართული გალობის სიძველეს, ერთი მხრივ, ტრადიციულობას, უცვლელობას, ხოლო, მეორე მხრივ, განვითარების იმ გზას, რაც განვლო ქართულმა საეკლესიო მუსიკამ.

აღსანიშნავია, რომ როგორც Q684-ში, ასევე, XIX-XX საუკუნის სანოტო ჩანაწერებში მოცემული თითქმის ყველა ძლისპირის დაძებნაა შესაძლებელი შუა საუკუნეთა ქართულ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში.

გამოცემამ „ნევმირებული ძლისპირები“ ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ძლისპირთა ხმების და ტექსტების თავისებურებების დადგენაში. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის სანოტო ჩანაწერებში პოეტური ტექსტები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ X საუკუნის ხელნაწერთან. ამასთან, რიგ ძლისპირებში შეიმჩნევა სხვადასხვა ხარისხის განსხვავება-ცვლილებანიც 9 საუკუნით დაშორებულ ჩანაწერებს შორის, რაც არცაა გასაკვირი. ეს ცვლილება მხოლოდ ძალიან იშვიათად ატარებს ტექსტში განსხვავებული შინაარსის შემოტანის ხასიათს. რამდენიმე ასეთი შემთხვევა წინამდებარე ტომში, საგალობელთა სქოლიობში გვაქვს წარმოჩენილი.

აქვე აღნიშნავთ, რომ X საუკუნის ხელნაწერ A-603-ის მეშვეობით Q684-ში მოცემული ტექსტების დაზუსტების პროცესი ჩვენ მეტად მცირე მასშტაბით ვაწარმოეთ: — გავასწორეთ მხოლოდ აშკარა შეცდომები. ძლისპირთა სხვადასხვა საუკუნის რედაქციების თუ ტექსტუალური განსხვავებების შესწავლა ანთოლოგიის ამოცანას არ წარმოადგენს. ეს საკითხიც სპეციალურ კვლევას მოელის.

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, წინამდებარე კრებულის საგალობელთა პოეტურ ტექსტებშიც პუნქტუაციის ნიშნები ჩვენ შემოვიტანეთ. ანთოლოგია, ამ მხრივ, შესაძლოა, არ იყოს დაზღვეული გარკვეული ცდომილებებისაგან. მაგრამ, XXI საუკუნის მკითხველის, შემსრულებლისა თუ მსმენელის მიერ საგალობლებში განივთებული პოეტური და რელიგიური მსოფლმხედველობის გაგებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია, სიტყვიერი ტექსტების პუნქტუაციის ნიშნებით „აღკაზმვა“. ვფიქრობთ, ანთოლოგია ამ მიმართულებითაც გამოიწვევს სამეცნიერო-ესთეტიკური აზრის გააქტიურებას და შემდგომ ოპტიმალურ ხედვამდე მისვლას.

\* \* \*

წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებულ საგალობლებშიც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა გულისხმობს აღტერაციის ნიშანთა ცვლილებასა და აშკარა შეცდომების გასწორებას, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

კომენტარებშივე დაბეჭდილი გვაქვს თავად ხელნაწერში არსებული მინაწერები, მითითებები და სქოლიოები — შესაბამისი აღნიშვნებით.

სხვა ტომების მსგავსად, VI—VIII ტომებშიც ქართულ აგოგიურ აღნიშვნებთან ერთად მოცემული გვაქვს მათი საერთაშორისო შესატყვისებიც.

ანთოლოგის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.<sup>1</sup>

## ლიტერატურა

კიკაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). ნევმირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკაძემ. თბილისი: მეცნიერება

ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი. 1901. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ქ. ტფილისი.

შუღლიაშვილი დავით (მთ. რედ. და შემდგ.). (2015) ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში. თბილისი.

ხაჩიძე ლელა (2000). ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან. თბილისი,

ხევსურიანი ლ. „ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია“. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი 1/2008.

## ხელნაწერები

Q684, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Q687, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Q688, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Q689, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

## ს. ჯანგულაშვილი

<sup>1</sup> რიგ გარემოებათა გამო, ჯერ ანთოლოგის I და VIII ტომები მომზადდა და გამოიცა, შემდეგ კი, დანარჩენები.

VIII ტომის შესავალში მოყვანილი გვყვავს დ. შუღლიაშვილის მოსაზრება, რომ ხელნაწერ კრებულ Q689-ში მოცემული საგალობლების I ხმის მელოდიები ფ. ქორიძემ ა. ქუთათელაძისაგან ჩაიწერა, ხოლო II-III ხმები რ. ხუნდაძის მიერაა შენყობილი. ამის შემდგომ, ჩვენ აღნიშნული გვაქვს: „ხელნაწერი Q689 ე. კერესელიძეს ასე აქვს დასათაურებული: „წიგნი 14. სძლისპირთა საგალობელნი. არისტოვლე ქუთათელაძის მიერ თქმული და გადაცემული“ და მასში არსადაა აღნიშნული, რომ ა. ქუთათელაძე მხოლოდ I ხმის გადმომცემია. სამწუხაროდ, დ. შუღლიაშვილი არ მიუთითებს მისი ცნობის წყაროს. ამდენად, ეს საკითხი უფრო ღრმა კვლევას მოელის“.

ანთოლოგის VIII ტომის დაბეჭდივის შემდგომ, ქართული გალობის ახალგაზრდა მკვლევარმა აშშ-დან, ჟ. გრემმა შემოგვთავაზა მისი კვლევა, რომელიც ეხება სწორედ ქორიძე-კერესელიძის ხელნაწერებში, მათ შორის, Q689-ში რ. ხუნდაძისა და ი. ნიკოლაძის სარედაქციო სამუშაოების ისტორიას. ანთოლოგიაზე მომუშავე შემოქმედებითმა ჯგუფმა აუცილებლად მიიჩნია ბატონი გრემის აღნიშნული სტატიის გამოქვეყნება წინამდებარე ტომის შესავლის შემდგომ, რადგანაც იგი ნათელს ჰქონდა VIII ტომის შესავალში წარმოქმნილ პრობლემატიკას.

ჩვენ მადლობელნი ვართ ბატონ ჟ. გრემისა და სიხარულით მივიღებთ ქართული გალობის ყველა სხვა მკვლევრისა და მოყვარულის მოსაზრებებს, შენიშვნებსა თუ ნაშრომებს, რომლებიც ანთოლოგიას და ზოგადად, გალობის სფეროს სამეცნიერო პრობლემატიკას შეეხება.

## Introduction

The books titled The Heirmologion (Volumes VI, VII, and VIII), represent a collection of chants collated from three original manuscripts: Q684, Q687, and Q689, National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia). These three manuscripts contain hymns of different liturgical genres, most of them heirmoi. The compiler of the original manuscripts, Ekvtime Kereselidze, named mss. Q684 and Q689 as *sdzlispirta sagalobelni* (Heirmoi chants). Manuscript Q687, while having a different name, also contains a collection of heirmoi chants.

A note by Kereselidze on the first page of manuscript Q687 reads: “these heirmoi are in the twelfth book, also in the thirteenth, fourteenth and ninth [books].” Note that Book 12 is now identified as manuscript Q687, Book 13 as Q688, Book 14 as Q689, and Book 9 as Q684. Of these manuscripts, Q688 does not contain heirmoi, unlike the others.

Heirmoi genre chants occur in almost all of the manuscripts compiled by Pilimon Koridze and Ekvtime Kereselidze (including Q688), together with hymns of other genres. Other chants will be printed as found in the Koridze-Kereselidze collections, rather than in this anthology. Here in Volumes VI and VII, we will publish the manuscripts that Kereselidze dedicated specifically to the heirmoi.

The chants belonging to the heirmoi genre have received the least scholarly attention to date. This is due to the fact that the manuscripts have not been accessible in publication (which this anthology serves), and on the other hand, the great quantity of heirmoi.

The categorization of various types of heirmoi is quite complex in the Koridze-Kereselidze collections. Variously, they are arranged by feast day, calendar day, typikon, polyphonic-structural characteristics, and likewise by the eight-mode (octoechos) system including the odes, or set sequentially according to canons. Sometimes they are organized along musical principles such as the level of stylistic complexity (simple style versus ornamental style).

Separately, there are feast-day heirmoi that stand alone in the manuscripts, sometimes incomplete or without rubric. In manuscripts Q684, Q687, and Q689, for example, the heirmoi are often mixed together with other feast day chants and are not arranged according to their tonal assignments.

Most of the heirmoi in these manuscripts are harmonized in a simple style (less polyphonically). But there are also ornamented variants with more developed, the so-called chreli examples with melismatic melodies. Even these, however, retain a simplistic polyphonic textural harmonization (likewise the numerous examples of different genres and schools).

There are several heirmoi in these manuscripts that only notated in the first voice. These were transcribed originally by Pilimon Koridze, but later recopied by Ekvtime

Kereselidze. The second and third voice parts were added by Razhden Khundadze and Ivliane Nikoladze by request of Ekvtime Kereselidze.

In the manuscripts, many of the heirmoi do not contain complete information about their tonal and canon categorization. Where possible, we added this information from other sources, but in some cases where we could not identify the chant rubric (ode and tone), we left question marks for later identification from scholars. In general, the relationship of the heirmoi to the eight-mode system has not been thoroughly researched in Georgian musicology.

We hope that this publication will help researchers to advance in their research of this and other questions. For the most part, these hymns in Volumes VI, VII, and VIII are published here for the first time, making accessible for all admirers of Georgian chant this wonderful material.

\* \* \*

The hymns printed in Volume VI of this anthology are from manuscript Q684 (National Center of Manuscripts, Tbilisi, Georgia). Of these hymns, 149 were transcribed by Pilimon Koridze (canonized as St. Pilimon the Chanter Devoted to the Nation), and later copied by Ekvtime Kereselidze (now also St. Ekvtime the Confessor). These hymns were recorded from master chanter Anton Dumbadze, as indicated on the title page of the manuscript Kereselidze: "Book 9, heirmoi transcribed in Ozurgeti, as sung by Anton Dumbadze."

It is well known that Anton Dumbadze was one of the most authoritative figures in the history of Georgian chant. He was a master chanter, and during his lifetime was acknowledged as the foremost expert of West Georgian chant. He did many activities in Georgia as well as at the Georgian settlement on Mount Athos. He knew unique examples of Georgian chants that had otherwise been forgotten by all other living chanters. As a result, Dumbadze is remembered as one of the main transmitters of Georgian hymns (together with others) whose voice is preserved in the hand-written and printed transcriptions made by Koridze and Kereselidze.

An author writing under the pseudonym, "Just another admirer of chant," wrote a letter addressed to Anton Dumbadze in the newspaper "Iveria" addressing him as, "the most respected of all, most famous, and the main chanter" (Iveria, 1887, June 6, #126, p.2-3, reprinted in Shughliashvili, 2015:140). Later, the same author wrote, "Anton Dumbadze is a complete representative of our chant. His fame and praise is spread throughout Georgia; in chanting he is without equal. His sweet, loyal and masculine voice will warm everyone's hearts with joyous feelings and inspired them for doing good deeds. His chanting reminds one of the past, breaks one's heart, gives one hope and makes one shed the tears of joy." (Iveria, 1893, May 27, #108, p. 2, reprinted in Shughliashvili, 2015:452).

The chants in Volume VI as well as those in other volumes of the anthology serve as further proof of the high spirituality and phenomenal artistic talent of Anton Dumbadze. Likewise, it highlights the dedication of Pilimon Koridze and Ekvtime Kereselidze, who have been recognized as saints.

\* \* \*

When specifying the correct textual variants, as well as the canon and tonal assignments, we relied on the edition, "The Neumed Heirmologion (manuscript A-603)" (Kiknadze, 1982). This edition reprints texts from manuscripts A-603 which dates to the 10th century. Meanwhile, Q684 was transcribed in the 19th century. These two important manuscripts, together with other transcriptions by Koridze, Kereselidze, Karbelashvili, and others, prove the antiquity of the Georgian chanting tradition, and show on the one hand its traditionalism and immutability, and on the other hand show the many ways that Georgian chant has developed.

Almost all of the heirmoi found in manuscript Q684 and the other 19th-20th century sources can also be found in medieval Georgian hymnographic manuscripts.

The edition, Neumed Heimologion, has provided us with an invaluable resource for defining the features of the tonal assignments and texts of the heirmoi. We should note that the poetic texts of the 19th century reveal a great similarity to those of the 10th century. Not surprisingly, there are also some differences and changes among these texts that were written down nine centuries apart, but these differences only rarely change the meaning of the text. Where we have edited the text of Q684, which was very infrequently, we have noted that change in the footnotes to the chant.

Textual analysis is not the main goal of this anthology, and subsequent research on the issue of textual variation in the heirmoi sources awaits scholars in this field.

In this edition, we have added "punctuation signs" in the poetic texts of the hymns as in the other volumes of this anthology. In this regard, the anthology is not insured against possible mistakes. But in order to make the poetic and religious meaning of the hymns clear for 21st century readers, performers, and listeners, we consider texts with punctuation signs to be necessary. We hope that the anthology will raise scientific and aesthetic questions that will elevate and activate our collective direction.

\* \* \*

As far as other editing directives, our intervention was limited to changing clear mistakes and adding/subtracting key signature and accidental signs. These changes have all been noted in the footnotes, as well the possible variations. We have also published notes and colophons that were written into the manuscripts (by Kereselidze and others).

As in the other volumes, VI-VIII include Georgian and international agogic accent symbols.

Notes given in the introduction to Volume I apply to the hymns of all of the volumes, including those printed here.<sup>1</sup>

## References

Kiknadze, Gulnaz (1982). Neumatic heirmoi: manuscript A-603. Published, researched and indexed by G. Kiknadze. Tbilisi: Metsniereba.

Triodion, 1901. Ekvtime Kheladze typography, Tbilisi.

Shughliashvili, David (the main editor and compiler) (2015) Chronicle of the Georgian chanting in 1861-1921 periodic. Tbilisi.

Khachidze Lela (2000). From the history of Georgian Christian culture. Tbilisi.

Khevsuriani, L. "Two ancient Georgian editions of Zatiki". Christian-archeological searches 1/2008.

## Manuscripts

Q684, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi Georgia

Q687, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi Georgia

Q688, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi Georgia

Q689, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi Georgia

**S. Jangulashvili**

---

<sup>1</sup> Because of certain circumstances, Volumes I and VIII of the anthology were prepared and published before the rest.

We have included D. Shughliashvili's opinion in the introduction of Volume VIII, which states that the melodies of the I tone of the chants from manuscript collection Q689 were recorded by P. Koridze from A. Kutatelandze, and that the II and III tones were harmonized by R. Khundadze. Afterwards, we have noted the following: "Manuscript collection Q689 has been titled by E. Kereselidze in the following manner: "Book 14. Canticles. Chanted and provided by Aristotele Kutatelandze" and it is not mentioned anywhere that A. Kutatelandze is the provider of solely the I tone. Sadly, D. Shughliashvili does not cite his source. Hence, this question awaits more research".

After publishing Volume VIII of the anthology, a young researcher of Georgian chanting from the US, J. Graham, offered us his research, which precisely concerns the history of the editorial work done by R. Khundadze and I. Nikoladze on the Koridze-Kereselidze manuscripts, including Q689. The working group for the anthology deemed it necessary to publish the aforementioned article of Mr. Graham after the introduction in this volume, as it illustrates the questions posed in the introduction of Book VIII.

We thank Mr. J. Graham and would be happy to receive opinions, remarks and papers from all the other researchers and enthusiasts of Georgian chanting concerning the anthology, and the scientific topics chanting in general.

## ქართული პირველწყაროები: საგალობელთა ხელნაწერ Q684-ის ანალიზი

ხელნაწერის დედნის რედაქტირების მცდელობა და ხელმეორედ გამოცემა, მისი ისტორიის შესწავლას მოითხოვს. უფრო მეტიც, ასეთ დროს საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორ და რისთვის შეიქმნა ესა თუ ის ხელნაწერი, ვინ და რა ვითარებაში დაწერა იგი, და შემდეგ როგორ წარიმართა მისი ბედი ისტორიული თვალსაზრისით.<sup>1</sup> ასეთ წიგნებში შემონახულია იმ ადამიანების ისტორია, ვისაც მათთან შეხება ჰქონია, წიგნის გვერდებზე აღპეჭდილია მათი მისწრაფებები და შემოქმედებითი უნარი. მართალია, ადამიანის ისტორიისგან განსხვავებით, წიგნის ისტორიის გადმოცემა, ბიოგრაფიულ ფორმატში შეუძლებელია, მაგრამ ამ ორ რამეს ბევრი აქვს საერთო. არსებობს გარკვეული პარამეტრები, რომლებიც არსებითა წიგნის შექმნის ისტორიის განხილვაში. ხშირად, ხელნაწერს უნიკალური ისტორია აქვს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი სამუშაო რვეულს ან ნაწარმოების შავ ვარიანტს წარმოადგენს, რადგან ასეთი ტიპის ხელნაწერები ძალიან ბევრს გვეუბნებიან თავიანთ ავტორებზე და მათზე, ვინც წლების განმავლობაში ამ ხელნაწერებზე მუშაობდა, ზოგჯერ მთელ თაობებზეც კი. იგულისხმება ის, თუ როგორ შეიქმნა წიგნი, რა გზას გადიოდა გასავრცელებლად, ვინ იყო მისი ავტორი და რედაქტორი, სად და როგორ ინახებოდა, რა ფიზიკური მახასიათებლები გააჩნდა, როგორი იყო სხვადასხვა დროს მისდამი — როგორც კულტურული ლირებულებისადმი, საზოგადოების დამოკიდებულება; მისი ურთიერთქმედება სხვა წიგნებთან, მისი ცვეთა, და, რაც ყველაზე მთავარია, თუ რა გარემოებაში მუშაობდნენ მასზე ადამიანები. გალობის თანამედროვე მკვლევარს, ხელნაწერის ისტორიის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ისტორიული პიროვნებების მიერ კრებულთან შეხება — მასზე დაკვირვება, მასში არსებული ჩანაწერების კითხვა, გალობა და რედაქტირება, რის შესახებაც ცნობებს სხვადასხვა წყარო გვაწვდის. მოცემული დოკუმენტის სახით, რომელიც ცნობილია, როგორც Q684 (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), ჩვენ წინაშეა ხელნაწერის დედანი, რომელიც დახლართულ და შთამბეჭდავ ამბავს გვიყვება. ადამიანებისათვის, რომლებმაც ეს ხელნაწერი შექმნის, რედაქტირება გაუკეთეს და ჩვენამდე მოიტანეს, ხელნაწერის შინაარსი ძვირფასი იყო; მართლაც, კრებულში აღპეჭდილი საგალობლები, ხელნაწერის შემქმნელთა სურვილისა და იმედის ანარეკლია, რაც ზეპირი ტრადიციის, წერილობითი ფორმით შენარჩუნებას უკავშირდება, რათა მგალობელთა შემდგომ თაობებს, ეს საგალობლები წირვა-ლოცვაზე ეგალობათ. მადლობა ღმერთს, ეს დროც დადგა.

წიგნი იშვიათად არსებობს ვაკუუმში და გამონაკლისს არც Q684 წარმოადგენს. იგი იმ მუსიკალური ხელნაწერების კრებულში შედიოდა, რომლის შემადგენლობაში არსებული ხელნაწერები ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ, როგორც ერთი ჯგუფის შემადგენელი ნაწილები, ხდებოდა ერთიდან მეორეში გადაწერა, მათი რედაქტირება ერთობლივად თუ სათითაოდ, ეს წიგნები მოგზაურობდნენ ხან ერთად და ხანაც ცალ-ცალკე. თუ ხელნაწერების ამ ჯგუფს შევხედავთ როგორც ოჯახს, Q684-ს უახლოესი ნათესავი მისი მშობელი ხელნაწერი Q1475 აღმოჩნდება, ის დედანი ხელნაწერი, საიდანაც გადმოწერილია Q684-ში მოცემული ყველა

<sup>1</sup> მსურს დიდი მადლობა გადავუხადო დავით შულლიაშვილს წინამდებარე წინასიტყვაობის ქართული ვარიანტის გულდასმით გაცნობისა და გამოთქმული შენიშვნებისათვის და ეკატერინე დიასამიძეს, ამავე წინასიტყვაობის რედაქტირებისათვის.

საგალობელი. ამ ორ ხელნაწერს შორის არსებული კავშირების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ხელნაწერთა ოჯახის სხვა უახლოეს ნათესავებად მიჩნეულია Q686 და Q689, რომლებიც გადაწერილია იმავე ქალალდზე, იმავე წყაროდან, იმავე ვითარებაში და, სავარაუდოდ, იმავე დროს - 1920-იანი წლების შუა პერიოდში. არსებობს ხელნაწერები, რომლებიც Q684-ს უფრო შორეულ ნათესავებად ერგებიან; ესენია Q683, Q687 და Q688. Q684-ის მსგავსად, ამ უკანასკნელი სამი ხელნაწერის შავი ვარიანტისა და რედაქტირებას ავტორები იყვნენ ე. კერესელიძე, რ. ხუნდაძე და ი. ნიკოლაძე, თუმცა Q684-ისგან განსხვავებით, აღნიშნულ სამ ხელნაწერზე მუშაობა, სავარაუდოდ, უფრო ადრე - 1910-1914 წლებში მიმდინარეობდა. ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ ჩვენ მიერ განხილვის საგნად არჩეული ხელნაწერი და მისი მონათესავე ხელნაწერები, რათა სილრმისეული წარმოდგენა შეგვექმნა ხელნაწერი კრებულების ისტორიაზე, კრებულებისა, რომლებმაც დროსა და სივრცეში იმოგზაურეს და კვლავაც გვიმდიდრებენ ცოდნას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მუსიკალური წარსულის შესახებ.<sup>2</sup>

ხელნაწერი Q684, რომელიც ანთოლოგიის წინამდებარე ტომში შესულ საგალობლებს მოიცავს, ამჟამად საქართველოში, თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში ინახება. ეს არის მსხვილტანიანი და სქელყდიანი წიგნი, რომელიც ხუთხაზიანი სანოტო სისტემით აღჭურვილი 173 გვერდისგან შედგება. ფურცელი მაღალი ხარისხისაა. ნოტები ფანქრით ზუსტად არის გამოყვანილი და მათ შორის საკმაოდ დიდი მანძილია დატოვებული, რათა წასაკითხად ადვილი იყოს. პარტიტურა შედგენილია სამი ხმისთვის და თითო გვერდზე მოცემულია ოთხი აკოლადა. ნოტებს წინ უძლვის ხელნაწერი სარჩევი. ბევრ გვერდზე აქა-იქ შეამჩნევთ რედაქტორის მიერ ფაქიზად წაშლილ, შეცვლილ ნოტებს (ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ). ერთი სიტყვით, ხელნაწერი ფიზიკურად ძალიან კარგ მდგომარეობაშია.

ხელნაწერ Q684-ში შეტანილი 149 საგალობელი ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის უანრს მიეკუთვნება, რომელსაც ქართულად ძლისპირი ეწოდება. ძლისპირთა უანრი მე-7-მე-8 საუკუნეების ბიზანტიაში წარმოიშვა და ქართულადაც იმავე პერიოდში ითარგმნა. საქართველოში ასეთი ჰიმნების კრებულები ჯერ კიდევ მე-9—მე-10 საუკუნებში მასიურ ტომებად ერთიანდებოდა, რომლებსაც „ძლისპირნი“ ან „იადგარი“ ეწოდებოდა (იორდანეს ხელნაწერი A603 ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია). გალობის ტექსტებს თან ახლდა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მგალობლებს ტექსტის გალობაში ეხმარებოდა. ეს ინფორმაცია მოიცავდა: კონკრეტულ მსახურებას (მაგალითად, შობა), იმას თუ რომელი გალობის ტექსტი იყო

<sup>2</sup> ხელნაწერ Q684-ის საინდექსაციო ინფორმაცია მოცემულია წიგნში „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია“, ტომი II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1958. ხელნაწერ Q1475-ის საინდექსაციო ინფორმაცია მოცემულია დამოკიდებულ ხელნაწერ დოკუმენტში, რომლითაც დასტურდება კავშირი Q684-ს და Q1475-ს შორის: „საგალობლები წოტებზე, Q684 ხელნაწერის პირი“. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ Q1475 თავის ახლანდელ ადგილსამყოფელში „ლორთქიფანიის არქივიდან“ მოხვდა, დოკუმენტის გადაცემის თარიღად კი 1978 წლის 31 იანვარი სახელდება. განახლებული საინდექსაციო ინფორმაცია მოცემულია წიგნში: „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“ ვაჟა გვახარიას, დავით შულლიაშვილის და ნინო რაზმაძის რედაქციით, მე-2 გამოცემა (ქართულად). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2013. აღნიშნული ხელნაწერების ჩანერის ისტორიული საჭიროების შესახებ იხ. ჯონ გრემის „The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant“, სადოქტორო დისერტაცია, პრინციფონის უნივერსიტეტი, 2015.

წარმოდგენილი 9 გალობიდან (ბერძნულად - ოდა), რვახმის სისტემის რომელ ხმაზე იგალობებოდა ტექსტი. თავდაპირველად, ძლისპირის მელოდიათა ნიმუშებად და მათი თანმხლებ ტროპრებად საგანგებოდ შერჩეული იყო მარტივი მელოდიები, რომლებიც სწრაფად და იოლად იმღერებოდა, რათა ერთსა და იმავე მსახურების დროს ბევრი ამგვარი ტექსტი შესრულებულიყო. დროთა განმავლობაში, ეს მელოდიები (საქართველოში მათი ფაქტურა და ჰარმონიაც) უფრო და უფრო მშვენდებოდა, განსაკუთრებით იმ საგალობლებისა, რომლებიც ისეთ მნიშვნელოვან ლიტურგიკულ საეკლესიო დღესასწაულებზე სრულდებოდა, როგორიცაა შობა ან აღდგომა.

Q684-ში მოცემული საგალობლები მუსიკალური თვალსაზრისით შთამბეჭდავია. ქართული საგალობლების უმეტესობის მსგავსად, ამ ხელნაწერში შესული საგალობლების ტექსტები, სამივე ხმის მიერ ერთდროულად იგალობება. პოეტური ტექსტის მუსიკალური განაწილება სილაბურია — თითო მარცვალი ერთ ან ორ ნოტზე მღერდება. მუსიკალურ კადანსებში კი, ზემოაღნიშვნული ზოგადი წესი გამონაკლისის სახითაა წარმოდგენილი და ზოგჯერ გრძელი, მელიზმატურად გამღერებული ფრაზებისგან შედგება. საგალობელთა ტექსტები, ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ერთმანეთისგან განსხვავდება, შესაბამისად, ზოგიერთი საგალობლის სანოტო ჩანაწერი, შესაძლოა, ნახევარ, ზოგის კი 5 გვერდს მოიცავდეს. საგალობლები ფრაზების მიხედვითაა ორგანიზებული, რომლებიც ერთ სუნთქვაზე იგალობება. ფრაზების გამყოფი შუალედური კადანსის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტში, ქვედა ხმები უნისონში ერთიანდებიან და ზედა ხმასთან ინტერვალ კვინტას წარმოქმნიან დამაბოლოებელი კადანსების შემთხვევაში, სამივე ხმა უნისონში ერთიანდება. ძლისპირთა ასეთი მელოდიებისათვის დამახასიათებელია ექვსნოტიანი დიაპაზონი, მაგრამ ხმების გადაჯვარედინებისას, შესაძლოა ოქტავაზე მეტი დიაპაზონიც მოიცვას. ქართული ტრადიციული სამხმიანობის მჭიდრო ჰარმონიული განლაგების პირობებში, დიაპაზონი ორ ოქტავას იშვიათად სცილდება. როგორც ხშირად აღნიშნავენ, ქართული გალობა წმინდა სამებას მოგვავონებს: ტექსტი სამ ხმაში იგალობება და დამაბოლოებელ უნისონურ ბგერაზე - ერთობაში სრულდება, სამივე ხმა თანასწორუფლებიანია და დამოუკიდებელი, მაგრამ ამავე დროს ისინი წარმოქმნიან სამი ხმის ჰარმონიულ ერთობას (ყველასათვის ცნობილ ამ ანალოგიას მე-12 საუკუნის ფილოსოფოსი იოანე პეტრინი აღნერს).

მოგითხოვთ, თუ რა არის ცნობილი Q684-ის შესახებ. ხელნაწერის ყდაზე მიწერილია: „წიგნი მე-9, ოზურგეთში დაწერილი, სძილისპირთა საგალობელი, ანტონ დუმბაძისაგან<sup>3</sup> გადაცემული“. სხვა წყაროები, ამ საგალობლების შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდის. მაგალითად, ცნობილია, რომ ფილიმონ ქორიძემ, რომელიც ოპერის მომღერალი გახლდათ, 1893 წელს, ეს საგალობლები ანტონ დუმბაძისაგან ნოტებზე ჩაიწერა.<sup>4</sup> საგალობელთა დიდი ნაწილი

<sup>3</sup> ანტონ დუმბაძე (1824-1907) ქართული მილიციის გენერალი იყო, რომელიც 1878 წელს რუსეთის იმპერიას თურქეთის წინააღმდეგ ომში ეხმარებოდა. მას რვა ვაჟი ჰყავდა, რომელთა უმეტესობაც მის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ნაწილებს ხელმძღვანელობდნენ ლეიტენანტების რანგში. დუმბაძე განთქმული იყო, როგორც ხალხური სიმღერებისა და განსაკუთრებით ლიტურგიკული საგალობლების შემსრულებელი, ერთ-ერთი უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენელი დახვენილი ადგილობრივი სამგალობლო ტრადიციისა, რომლითაც ცნობილი იყო სოფელ შემოქმედის მონასტერი გურიაში. დუმბაძის მოსწავლეთა შორის იყვნენ მელქისედეკ ნაკაშიძე, ვარლამ სიმონიშვილი და არტემ ერქომაიშვილი.

<sup>4</sup> ფილიმონ ქორიძე (1835-1911) იმ დროის გამოჩენილი მუსიკოსი გახლდათ. მას წარმატებული სოლო კარიერა ჰქონდა იტალიაში, სანქტ-პეტერბურგსა და თბილისში. მას თბილისში მოღვაწე

დაუსრულებელი იყო, დროის უკმარისობიდან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს, მხოლოდ პირველი ხმა - თანმხლები ხმების გარეშე ჩაეწერათ. პროექტი დააფინანსეს მაქსიმე შარაძემ და ექვთიმე კერესელიძემ, საგალობლების ორმა თავდადებულმა გულშემატკივარმა, რომლებიც იმ დროისათვის თბილისში, „შარაძე და ამხანაგობის სტამბაში“ მუშაობდნენ. როგორც კერესელიძის 1941 წლით დათარიღებულ ხელნაწერ მემუარში, „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადალებისა“-შია ნათქვამი, (აღნიშნული მემუარი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა), ხელნაწერების დედანი მან გელათში 1912 წელს წაიღო, მას შემდეგ, რაც დუმბაძე (1907), შარაძე (1908) და ქორიძე (1911) გარდაიცვალნენ.<sup>5</sup> ეს იყო კერესელიძის საკუთრებაში არსებული კოლექცია, რომელიც 1883-1908 წლებით დათარიღებულ ასობით ხელნაწერ ფურცელს მოიცავდა, რომელთაც კერესელიძემ მთელი რიგი საკუთარი სამუშაო ხელნაწერები დაუმატა. ის ათასობით საგალობლის სამ ხმაზე განყობას ცდილობდა. 1936 წელს მან მთელი თავისი არქივი შავი ჩანაწერები, სამუშაო ვერსიები და ტრანსკრიფციები, დაახლოებით ოცდათექვსმეტი ხელნაწერი - დიმიტრი შევარდნაძეს მიანდო. საბჭოთა პერიოდში, ამ ხელნაწერებს ძალიან მცირე ყურადღება ეთმობოდა. დღეს ეს კოლექცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ინახება. წინამდებარე გამოცემაში, ხელნაწერში აღბეჭდილი საგალობლები პირველად ქვეყნდება.

მოცემულ ხელნაწერს რამდენიმე უჩვეულო მახასიათებელი გამოარჩევს, რაშიც შევეცდებით გავერკვიოთ, რათა ვიცოდეთ, თუ რა ტექსტთან გვაქვს საქმე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან საკითხთა შორისაა:

1. ნოტებზე გადამტანის ვინაობა — ხელნაწერ Q684-ში მოცემული საგალობლები ანტონ დუმბაძისაგან ნოტებზე ჩაიწერა ფილიმონ ქორიძემ — 1893 წელს. ხელნაწერის გადამწერი კი ექვთიმე კერესელიძეა.<sup>6</sup>

2. მუსიკის სტილის საკითხი — ანტონ დუმბაძის სამგალობლო სტილისთვის ნიშანდობლივი მელოდიები პირველ ხმაში (მაგალითად ისეთი საკადანსო ნაგებობების სიჭარბე, რაც მრავალხმიან ფაქტურაში ხმათა

---

ტრადიციული მომღერლების მიერ შესრულებული სამხმიანი ხალხური და საეკლესიო ჰანგების ჩანერა სთხოვეს. 1883 წელს მისი პირველი მცდელობა ისეთი ნარმატებული გამოდგა, რომ მას, ლეთისმსახურებისას შესრულებული ძირითადი საგალობლების მთელი რეპერტუარის ნოტებზე გადატანა დაავალეს. მათი რიცხვი დაახლოებით ხუთასს შეადგენდა. ეს პროექტი მან 1885-1886 წლებში ქუთასში ყოფნისას წამოიწყო. ამ დავალების წარმატებით დასრულების შემდეგ, აღნიშნული ჩანაწერების გამოცემა შეფერხდა ფინანსების უქონლობის, რუსული ცენზურისა და აღჭურვილობის, კერძოდ ნოტების დასაბეჭდად საჭირო ტიპოგრაფიის უქონლობის გამო (ნოტების ბეჭდვა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1895 წელს დაიწყო). როდესაც 1885 წელს ანტონ დუმბაძემ, ფილიმონ ქორიძის პროექტის შესახებ შეიტყო, იგი ქუთასში გაემგზავრა და სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი ხანგრძლივი მეგობრობა ქორიძესთან, რომელიც 1893-94 წლებში და, მოგვიანებით, 1906 წელს დუმბაძის მშობლიურ ქალაქში (ოზურგეთი, გურია) ჩავიდა აღნიშნული და კიდევ სხვა საგალობლების ჩასაწერად.

<sup>5</sup> ექვთიმე კერესელიძემ (1865-1944) გალობა თბილისში შეისწავლა. იგი შარაძის სტამბაში მუშაობდა და საგალობელთა წიგნის აწყობაში მონაწილეობდა. წიგნი 1895 წლიდან 1911 წლამდე პერიოდში გამოვიდა. 1911 წელს, სტამბის დახურვის შემდეგ, იგი ბერად აღიკვეცა და სიცოცხლის ბოლომდე, ათეულობით წლის მანძილზე იწერდა და ანესრიგებდა ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილი ხელნაწერების შავ ვარიანტებს, ასევე სხვების დახმარებით ხმებში აწყობდა არასრული ფორმით ჩანერილ საგალობლებს. იგი დაკარძალულია ზედამინის მონასტერში.

<sup>6</sup> Q684 ხელნაწერის ბოლო, 90r-ე გვერდზე მოთავსებული კოლოფონი წარმოადგენს მოკლე ლოცვას, რომელსაც ხელს აწერს „მღვდელ-მონაზონი ევთიმე“.



გადაჯვარედინებისთვისაა დამახასიათებელი), მეორე და მესამე ხმები კი, განსხვავებულ სტილს უნდა განეკუთვნებოდეს.

3. რამდენიმე რედაქტორის არსებობის საკითხი — კერძესელიძის ხელით შესრულებული ჩანაწერები ბევრგანაა წაშლილი და ისინი სხვა კალიგრაფიით შესრულებული ჩანაწერებითაა ჩანაცვლებული.

4. დათარიღების საკითხი — ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საკითხი ერთად ეჭვქვეშ აყენებს იმ ფაქტს, რომ მოცემული ხელნაწერის შექმნის თარიღი 1893 წელია, მიუხედავად იმისა, რომ სხვა წყაროებში ეს თარიღი დასტურდება.

თითოეული საკითხი ცალ-ცალკე განვიხილოთ. გადამწერის ვინაობის დადგენა ადვილია: Q684 ასლის სახლით არის წარმოდგენილი.<sup>7</sup> თავდაპირველი ხელნაწერი, რომელიც 1893 წელს ანტონ დუმბაძისგან ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილ საგალობლებს მოიცავს, ცალკე ხელნაწერია, რომელსაც Q1475 ეწოდება.<sup>8</sup> გარკვეულ პერიოდში, ექვთიმე კერძესელიძემ Q1475 მთლიანად, გადაიტანა სხვა ხელნაწერში — Q684-ში, იმდენად ზუსტად, რომ არც ერთი ნოტი არ შეუცვლია. იმ დროისთვის ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული ხელნაწერები არასრული იყო: გალობის ოსტატის ანტონ დუმბაძისგან<sup>9</sup> ჩაწერილ Q1475 ხელნაწერში მოცემული იყო მხოლოდ პირველი ხმა. სავარაუდოდ, ქორიძე მომავალში საგალობლის სამივე ხმის შეწყობას აპირებდა, რადგან სანოტო სისტემაზე ყოველი მელოდიის ქვეშ, ორ სანოტო სისტემას ცარიელს ტოვებს.


<sup>7</sup> ხელნაწერთა შორის რამდენიმე შეუსაბამობა აღნიშნულია წიგნში: „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“ ვაჟა გვახარიას, დავით შუღლიაშვილის და ნინო რაზმაძის რედაქციით, მე-2 გამოცემა (ქართულად). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრის გამომცემლობა, 2013.

<sup>8</sup> ხელნაწერი Q1475 აუკინძავია და წარმოადგენს ერთმანეთთან არც ისე მჭიდროდ მიბმულ 188 გვერდისაგან შედგენილ ნოტების კრებულს. მუსიკა სამ ხმაშია ჩაწერილი, მაგრამ სხვადასხვა პარტია სხვადასხვა ხელით არის დაწერილი (ქორიძე - პირველი ხმა, ხუნდაძე - მეორე და მესამე ხმა, კერძესელიძე - სათაურები). ეს არის ხელნაწერის დედანი, რომელიც ფილიმონ ქორიძემ 1893 წელს გურიაში ჩაიწერა ანტონ დუმბაძისა და მისი შეგირდების კარნახით. შესწორებები შეტანილია მხოლოდ ხუნდაძის ხელით, რომელმაც გადაწერა და გაამარტივა ქორიძის მიერ ნოტებზე ჩაწერილი - დუმბაძისეული ხმების გადაჯვარედინება კადანსებში. არ შეინიშნება კერძესელიძის ან ნიკოლაძის მიერ შეტანილი არცერთი შესწორება. ეს ხელნაწერი, ამჟამად თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, მაგრამ იგი, ექვთიმე კერძესელიძის კრებულთან ერთადამ არქივში 1936 წელს არ მოხვედრილა. მასზე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბეჭედი იყო დასმული; როგორც ამ ცენტრის საკუთრებას, ხელნაწერს ბეჭედი სავარაუდო 1937 წელს, ხუნდაძის პირადი კოლექციის სხვა ხელნაწერებთან ერთად დაესვა. ზემოაღნიშნული დოკუმენტი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მხოლოდ 1978 წელს მოხვდა. შენიშვნა: ექვს საგალობელზე, შუა საუკუნეების ქართული ნევმებია მიწერილი. ნითელი ფანქრით შესრულებული ამ ნევმირებული ჩანაწერის ავტორი უცნობია, მაგრამ ისინი მსგავსებას ვასილ (სტეფანე) კარბელაშვილის ნევმებთან ავლენენ.

<sup>9</sup> მხოლოდ პირველი ხმის ნოტებზე ჩაწერის გადაწყვეტილება ფილიმონ ქორიძემ პროექტის დამფინანსებლებთან მაქსიმე შარაძესთან და ექვთიმე კერძესელიძესთან ერთად მიიღო. ისინი შიშობდნენ, რომ უკვე ასაკოვან სრულ მგალობელ ანტონ დუმბაძისაგან ყველა საგალობლის ჩაწერას ვერ მოასწრებდნენ, ამიტომ, თითოეული საგალობლის მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი — მელოდია ჩაიწერს. პირველ ხმასთან მეორე და მესამე ხმები შეწყობას, ისინი მომავალში, სხვა გამოცდილი მგალობლების დახმარებით გეგმავდნენ. ამ მეთოდის წყალობით, ქორიძემ მოკლე დროში ასობით საგალობლის მელოდიის ჩაწერა მოახერხა. საგალობელთა ჩაწერის ამ მეთოდს, ათი წლის შემდეგ - 1903 წელს მიმართეს, როდესაც ქორიძემ, სრულ მგალობელ არისტოვლე ქუთათელიძისგან ძლისპირის 1000 მელოდია ჩაიწერა. 1912 წლიდან მოყოლებული, კერძესელიძე ამ მელოდიების ხმებში განწყობაზე, რაუდენ ხუნდაძესთან და ივლიანე ნიკოლაძესთან ერთად მუშაობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთ კითხვას ბადებს, რაც მუსიკის სტილის საკითხს უკავშირდება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას, უკანასკნელი კვლევა გვაძლევს: მეორე და მესამე ხმები, მღვდელმა და გალობის ოსტატმა რაჟდენ ხუნდაძემ შეუწყო, რომელსაც 1912-1913 წლებში კერესელიძემ ამის გაკეთება სთხოვა.<sup>10</sup> ხუნდაძემ ძლისპირები სამ ხმაში გააწყო. ზედა ხმების პარალელურ მოძრაობაში, ხუნდაძისეული სტილი ადვილი საცნობია.<sup>11</sup> Q1475-ში ორი სტილის ხელნერა შეინიშნება: ზედა ხმა ფილიმონ ქორიძეს ეკუთვნის, ხოლო მეორე და მესამე ხმები – რაჟდენ ხუნდაძეს (ილუსტრაცია 1).

### ილუსტრაცია 1: „მონებისა მისგან მნარისა“ (გვ. 07v, Q1475)



<sup>10</sup> ჯონ გრემი, „ივლიანე ნიკოლაძე: ქართული ძლისპირების რედაქტორი“, ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისის კონსერვატორია, 2010:425-446.

<sup>11</sup> რაჟდენ ხუნდაძემ (1845-1929), გალობის ოსტატმა, რომელიც წარმოშობით ჩოხატაურიდან იყო, სიცოცხლის დიდი ნაწილი ქუთაისში გაატარა, სადაც მღვდლად მსახურობდა. ქორიძესთან ერთად, 1885 წელს მან მონაწილეობა მიიღო, გალობის ნოტებზე გადაღების პირველ ფართომასშტაბიან პროექტში.

პირველ მაგალითში ძლისპირ - „მონებისა მისგან მწარისა“-ს პირველი გვერდი იმ ფორმით არის აღბეჭდილი, როგორითაც ის შესულია ხელნაწერ Q1475-ში. ეს გვერდი, აღნიშნული ხელნაწერისთვის დამახასიათებელია, რაც შემდეგში მდგომარეობს: მუსიკა პარტიტურაში ჩაწერილია იმგვარად, რომ თითოეულ ხმას თითო სანოტო სისტემა ეთმობა, ერთ გვერდზე სამ-სამი სანოტო სისტემის დაჯგუფებით.<sup>12</sup> სათაური, ტექსტი და პირველი ხმა ფილიმონ ქორიძის ხელით არის ჩაწერილი, ხოლო ქვედა ორი ხმა რაუდენ ხუნდაძეს ეკუთვნის.<sup>13</sup> გასაღებში ოთხი (ხი, მი, ღა, რე) ბემოლია დასმული.<sup>14</sup> დავაკვირდეთ ზემოთ მოცემული საგალობლის დამაბოლოებელ კადანსა სმაგალითი 1. ჩვენ ვხედავთ პირველი ხმის დაღმავალ მოძრაობას, რაც ამ ხელნაწერში ანტონ დუმბაძისგან ჩაწერილი თითქმის ყველა დამაბოლოებელი კადანსისათვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, ხუნდაძე ჩვეულ ტრადიციას არ ღალატობს, წერს რა მეორე ხმას აღმავალი მიმართულებით და შედეგად ხმათა გადაჯვარედინებას ვღებულობთ. მაგრამ არაერთ მომდევნო საგალობელში, დუმბაძე-ქორიძის დამაბოლოებელი მელოდიური კადანსი, ხუნდაძემ ხელახლა გადაწერა, იმგვარად, რომ ხმათა გადაჯვარედინება თავიდან აეცილებინა. ამიტომ, ამ საგალობლების შემსრულებლებს შესაძლებლობა აქვთ დამაბოლოებელი კადანსები ორგვარად იგალობონ: დუმბაძისეულ ვარიანტში (ხმათა გადაჯვარედინებით), ან ხუნდაძისეულ მარტივ ვერსიაში.

მეორე მაგალითში ჩვენ ვხედავთ იმავე ძლისპირს, რომელიც Q684-შია გადაწერილი (წინამდებარე ტომში იხ. გვ.50). სამივე ხმა და ტექსტი კერესელიძის ხელნაწერია; სახეზეა მხოლოდ რამდენიმე რედაქტირებული ფრაგმენტი, რაც მაგალითად ტაქტის ხაზს უკავშირდება.

მესამე საკითხის განხილვისას, რომელიც ხელნაწერის რამდენიმე რედაქტორის არსებობას ეხება, ყურადღების გამახვილება ჩვენ ივლიანე ნიკოლაძის როლზე გვსურს. მისი რედაქტირება ცხადად ჩანს მეორე მაგალითის პირველ და მეორე ტაქტებში, სადაც შუა ხმის რამდენიმე ბგერა წაშლილია და შემდეგ მისი ხელითაა დაწერილი (ასევეა ამავე გვერდის მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 ტაქტებში). აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერში, ყველა ბგერა, რომელიც პირველ ხმასთან ერთად პარალელურად არ მოძრაობს, ივლიანე ნიკოლაძის სარედაქციო ჩარევის შედეგია. ამ შემთხვევაშიც, მგალობლებს


<sup>12</sup> ქორიძის ხელნაწერი შესრულებულია ქალალზე, რომელიც 14 სანოტო სისტემას მოიცავს, როგორც ხელნაწერ Q684-ის ქალალდი, რომელშიც ასევე ანტონ დუმბაძისგან 1893 წელს ჩაწერილი ნოტებია აღბეჭდილი.

<sup>13</sup> ქორიძისეულ ხელნაწერში, ნოტების შტილები, ნოტების თავებისაგან ხშირად დაშორებულია ისე, რომ ისინი ერთმანეთს არ ეხებიან, ხუნდაძისეულ ხელნაწერებში კი ისინი ერთმანეთთან ყოველთვის შეერთებულია; ქორიძის ხელნაწერში ლიგას ვერ შეხვდებით, მაშინ, როცა ხუნდაძე ლიგას ხშირად იყენებს; განსხვავებული მოხაზულობა აქვთ მათ ნახევარი გრძლიობის ნოტებსაც. ხუნდაძისაგან განსხვავებით, ქორიძესთან მერვედი გრძლიობის მქონე ნოტების ჯგუფები უფრო გაფანტულად არის ჩაწერილი. სანოტო ჩანაწერების ასობით გვერდის ნახვის შემდეგ, ეს განსხვავებები აშკარა ხდება.

<sup>14</sup> ლიტურგიკული საგალობლების ქართული ტრადიციული ბგერათწყობა, რომელიც, როგორც მე-20-ე საუკუნის პირველი ნახევრის ჩანაწერებშია აღბეჭდილი, ოქტავაში შემავალ შვიდსაფეხურიან (ჰეპტატონურ) ბგერათრიგებს ეფუძნება. თითოეული ინტერვალი ნახევარ ტონზე მეტი და მთელ ტონზე ნაკლებია, დაახლოებით 150-180 ცენტის დაშორებით. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე თეორია არსებობს და ამ მიმართულებით კვლევა გრძელდება. ქართული საგალობლების ბგერათრიგის ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანასთან დაკავშირებული სირთულეების პირობებში, ხელნაწერებში აღნიშნული ალტერაციის ნიშნების გამოყენება, შესაძლოა, საუკეთესო კომპრომისად მივიჩნიოთ.

საგალობელთა სხვადასხვა ვარიანტის შესაძლებლობა ეძღვათ: 1) ნიკოლაძის ვარიანტი (ხმათა კონტრაპუნქტული მოძრაობით), 2) ხუნდაძის ვარიანტი (ზედა ხმათა ტერციაში პარალელური მოძრაობით), ან 3) გელათის სამგალობლო სკოლის ტრადიციის შესაბამისად „გაამშვენონ“ და ისე იგალობონ ესა თუ ის საგალობელი.<sup>15</sup>

### ილუსტრაცია 2: „მონებისა მისგან მწარისა“ (გვ. 08r, Q684)



<sup>15</sup> საგულისხმოა, რომ ამ გვერდზე ბანის პარტიაში ცვლილებები შეტანილი არ არის, მაგრამ სხვაგან იმავე ხელნაწერში ბანი შეცვლილია, რათა ის შუა ხმის მონაწილეობის შედეგად მიღებულ ახალ კონტრაპუნქტს მიესადაგოს. ნიკოლაძის რედაქტირების მიზანიც სწორედ ეს იყო. ყოველი შუალედური კადანსის ბოლოს, თითოეულ ხმას მან ასევე ფერმატა დაუმატა, რაც ხელნაწერ Q1475-ის ქორიძისეულ ვარიანტში არ იყო. შესაძლოა, რომ შუალედურ კადანსებში ფერმატას დამატება, საშემსრულებლო პრაქტიკის ცვლილებას ასახვდა, რაც გუნდის მიერ, თითოეული მუსიკალური ფრაზის შემდეგ, ერთობლივი სუნთქვისთვის მეტი დროის საჭიროებას უკავშირდება.

რედაქტირებაზე საუბრისას საჭიროა განვიხილოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა საგალობლის გასამხმიანების სტილი, ის, თუ ვის კუთვნილებაში არსებობდა ესა თუ ის ხელნაწერი და ესთეტიკური თვალსაზრისით უპირატესობა რომელ სტილს ენიჭებოდა.<sup>16</sup> კერესელიძემ მოიწვია თავისი საქმის კარგი პროფესიონალი მგალობელი ივლიანე ნიკოლაძე, რათა მას „შეესწორებინა“ და „გაეუმჯობესებინა“ მათი მეორე-მესამე ხმები, რომლებიც მისი აზრით რაუდენ ხუნდაძემ კარგად ვერ შეუწყო.<sup>17</sup> რაც შეეხება კერძოდ ხელნაწერ Q684-ს, ცხადად ჩანს კვალი იმისა, რომ ნიკოლაძემ მასში ბევრი ცვლილება შეიტანა, განსაკუთრებით იქ, სადაც ზედა ხმები პარალელურად მოძრაობდნენ, რაც რედაქტორმა ხმათა კონტრაპუნქტული სვლით ჩაანაცვლა. თავის მემუარში კერესელიძე აღნიშნავს, რომ ის და ნიკოლაძე ერთგულად ემსახურებოდნენ ხელნაწერების რედაქტირების საქმეს და დასძენს, რომ მას შემდეგაც, რაც 1914 წელს მათი ინტენსიური მუშაობა დასრულდა, ისინი „საჭიროების დროს“, თანამშრომლობას აგრძელებდნენ.<sup>18</sup> კერესელიძის ეს კომენტარი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს, როდესაც საქმე Q684-ის გადაწერისა და რედაქტირების თარიღების გარკვევას ეხება; შესაძლებელია, რომ ეს ხელნაწერი უფრო გვიანი პერიოდისაა, ვიდრე 1914 წელი.

თუ როდის გადაიწერა Q684 და, რაც, შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, რატომ გადაიწერა იგი, შეიძლება ზუსტად ვერასდროს შევიტყოთ. თავფურცელზე მიწერილი 1893 წელი, საგალობლების ნოტებზე პირველად ჩანერის თარიღად არის მიჩნეული. ხელნაწერს არ ახლავს არც ერთი თარიღი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1893 არის წელი, როდესაც ქორიძემ ნოტებზე გადაიტანა ხელნაწერი Q1475, რომელიც ხელნაწერ Q684-ის დედნად შეიძლება მივიჩნიოთ). არსებობს რამდენიმე საინტერესო ფაქტი, რომლებიც ჩვენ მიერ განხილულ ხელნაწერს, ხელნაწერთა იმავე „ოჯახის“ სხვა წარმომადგენლებისაგან გამოარჩევს, და რომლებიც შემდგომ კვლევაში დაგვეხმარება. მაგალითად, სხვა ხელნაწერების - Q687-ისა და Q688-ისგან განსხვავებით, რომლებიც ხმებში რაუდენ ხუნდაძემ გააწყო და შემდეგ 1914 წელს ივლიანე ნიკოლაძემ შეასწორა, Q1475 ნიკოლაძეს არ შეუსწორებია. რატომ მიაწოდა მას კერესელიძემ სარედაქციოდ მხოლოდ ზოგიერთი დედანი და არა ყველა? რატომ შექმნა ზოგი მათგანის ასლები, თუმცა არა ყველასი? პასუხი შეიძლება აღმოვაჩინოთ კერესელიძის გამოუქვეყნებელ მემუარში, რომელიც მოკლე განმარტების გაკეთების უფლებას გვაძლევს, ვიდრე ხელნაწერის დათარიღების საკითხს ისევ დავუბრუნდებოდეთ.

როგორც კერესელიძის მემუარშია (1914) ნათქვამი, მან, მის ხელთ არსებული ხელნაწერები 1912 წელს გელათის მონასტერში წაიღო, სადაც იგი ბერად

<sup>16</sup> ესთეტიკური თვალსაზრისით ძლისპირების მელოდიების გასამხმიანებისას, ამა თუ იმ სტილის უპირატესობის საკითხები მიმოხილულია სტატიაში: ჯონ გრემი, „ივლიანე ნიკოლაძე: ქართული სძლისპირების რედაქტორი“. ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისის კონსერვატორია, 2010:425-446.

<sup>17</sup> ივლიანე ნიკოლაძე (გარდაიცვალა 1920-იანი წლების გვიან პერიოდში), იგი ქალაქ ქუთაისში მგალობელი და რეგენტი იყო. ახალგაზრდობაში, მელოდიის ნოტებზე ჩანერა, მან ფილიმონ ქორიძისგან შეისწავლა (1894); ხოლო მოგვიანებით - 1914-1915 წლებში, ექვთიმე კერესელიძეს იგი საგალობლების რამდენიმე კრებულის ხელახლა გასამხმიანებაში დაეხმარა. სავარაუდოდ მათი თანამშრომლობა 1920-იან წლებშიც გაგრძელდა.

<sup>18</sup> ექვთიმე კერესელიძე, „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“, Q849, გვ. 58, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. საქართველო, თბილისი.

აღიკვეცა, მოგვიანებით კი მღვდელ-მონაზონი გახდა.<sup>19</sup> როგორც უკვე ითქვა, 1912 წელს მან რაჟდენ ხუნდაძეს დაავალა დაესრულებინა იმ საგალობლების გასამხმიანება, რომელთა ნოტებზე გადაღებისას ქორიძემ მხოლოდ პირველი ხმა აღბეჭდა. ჩვენ გვაინტერესებს, ვინ რომელ ხელნაწერზე მუშაობდა და როდის. მაგალითად, ზოგიერთ ხელნაწერში, კერძოდ 1890-იანი წლების დედნებში, ხუნდაძის ხელწერას, ქორიძის ხელწერის ქვემოთ ვხედავთ (მაგალითად ხელნაწერი Q1475). სხვა ხელნაწერებში ხუნდაძის ხელწერა, კერესელიძის ხელწერის ქვემოთ გვხვდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასეთი ხელნაწერები სხვა წყაროებიდან არის გადაწერილი (მაგალითად, ხელნაწერი Q684). აღნიშნავს თუ არა კერესელიძე, თუ როდის და რატომ გადაწერა ხელნაწერები?

კერესელიძე თავის მემუარში გაკვრით ახსენებს, რომ მას უნდა გადაეწერა ქორიძის რამდენიმე ხელნაწერი, 1910-1911 წლებში, რადგანაც სტამბის კიდევ ერთი თანამფლობელი, ვინმე ლოსაბერიძე სტამბის პარტნიორობის დაშლის შემდეგ ამტკიცებდა, რომ კანონით ხელნაწერების ნაწილი მას ეკუთვნოდა. ქორიძის დედანი მრავალ დაუმთავრებელ ძლისპირს მოიცავდა, რომლებიც ქორიძემ ანგონ დუმბაძისა (1893) და არისტოვლე ქუთათელაძისაგან (1903) ჩაიწერა. ეს ალბათ სწორედ ის ცხრა ხელნაწერია, რომლებიც საერთო სათაურის H-154 ქვეშაა თავმოყრილი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). კერესელიძემ მის მიერ გადაწერილი ასლები ცალკეულ რვეულებში შეკრიბა, რომლებიც მოგვიანებით აკინძა და რომლებმაც სხვადასხვა სამუშაო დოკუმენტის სახე მიიღო (მაგალითად, ხელნაწერები Q683, Q686, Q687, Q688, Q689, Q690, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება). კერესელიძის აღნიშვნით, 1912-1913 წლებში, საგალობელთა გამრავალხმიანებისათვის ხელნაწერები ხუნდაძეს გადაწეა, ხოლო მოგვიანებით – 1914 წელს ისინი ნიკოლაძემ შეასწორა.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი Q1475 ამ ჯგუფს არ მიეკუთვნება, იგი მისგან ცალკე არსებობს და წარმოადგენს არა კერესელიძის მიერ გადაწერილ ასლს, არამედ ქორიძისეულ დედანს, რომელთაც მეორე-მესამე ხმები ხუნდაძემ – ქორიძისეულ ხელნაწერ დედანშივე შეუწყო. ხუნდაძე ამ ხელნაწერზე, სხვა ხელნაწერებთან შედარებით უფრო გვიან – 1915 წელს მუშაობდა, რაც ხელნაწერის კოლოფონში 259-ე გვერდზე დასტურდება.<sup>20</sup> ამრიგად, კერესელიძის მიერ ხელნაწერ Q1475-ის გადაწერა Q684-ში, რომელიც ხუნდაძის მიერ განეულ სამუშაოს სრულად მოიცავდა, 1915 წლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. ჩვენ ვუბრუნდებით მემუარს იმ შესაძლო სცენარის აღმოსაჩენად, რომლიდანაც შევიტყობდით თუ როდის გადაწერა კერესელიძემ ხელნაწერები. კითხვებს ბადებს ერთი ეპიზოდი.

როგორც თავად კერესელიძე წერს, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, 1924 წელს მან ხელნაწერების მთელი კოლექცია საჩქაროდ გადაიტანა ფორნით

<sup>19</sup> ექვთიმე კერესელიძის მემუარზე დაყრდნობით, 1912 წლიდან 1924 წლამდე იგი გელათის მონასტერში ცხოვრობდა (სავარაუდოდ იქ 1923 წლამდე დაჲყო, ვიდრე გელათის მონასტერი დაიკეტებოდა). ამ წლების განმავლობაში იგი ფილიმონ ქორიძისგან დატოვებულ ხელნაწერზე მუშაობდა. 1925 წელს კერესელიძე აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა, სადაც ჯერ სვეტიცხოვლის მონასტერში დასახლდა, მოგვიანებით კი, 1932 წელს ზედაზნის მონასტერში დაიდო ბინა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა, 1944 წელს კი, მარტოდ მყოფი გარდაიცვალა. 2003 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. 2 თებერვალი მისი საენების დღეა.

<sup>20</sup> რაჟდენ ხუნდაძის ხელით მიწერილ კომენტარში, ხელნაწერ Q1475-ის 259-ე გვერდზე, ხუნდაძე საგალობლის მელოდიის შეფასებას იძლევა. კომენტარს ხელს მამა რაჟდენი, 1915 წლის 11 ივნისს აწერს.

გელათის მონასტრიდან მის მახლობელ ქალაქ ქუთაისში და საგალობლების წიგნები რაჟდენ ხუნდაძის სარდაფში დამალა (ეს სავარაუდოდ 1923 წელი იყო, როდესაც გელათის მონასტრი, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აგრესიულად დახურა და ბერებს გაქცევა მოუწიათ). როდესაც იგი ერთი წლის შემდეგ, ხელნაწერების წასაღებად დაბრუნდა, როგორც მის მემუარშია ნათქვამი, ეს ვერ მოახერხა საკუთრებაზე კონფლიქტის გამო და ნოტებზე გადაღებული საგალობლების 2000 გვერდის ხელახლა გადაწერა მოუხდა, რასაც ორი წელიწადი დასჭირდა.<sup>21</sup> სავსებით შესაძლებელია, რომ კერესელიძემ Q684, Q1475-იდან სწორედ ამ პერიოდში გადაწერა. ის ხელნაწერები, რომელიც ხუნდაძემ დაიტოვა და მოგვიანებით „ხუნდაძის არქივში“ მოხვდა, ახლა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ინახება. ამ კოლექციის ბევრ ხელნაწერს შორის, რომელთა ავტორადაც ხუნდაძე გვევლინება, სამი განსხვავებული ხელნაწერიც მოიპოვება, რომელებშიც პირველი ხმა ქორიძის, ხოლო მეორე და მესამე ხმები ხუნდაძის ხელითაა ჩაწერილი. შემთხვევითი არ არის, რომ ეს სამი ხელნაწერი კერესელიძემ გადაწერა და თავისსავე კოლექციაში შეინახა, კოლექციაში, რომელმაც საბოლოო ბინა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაიდო. ეს ხელნაწერებია – Q1475 (Q684-ის წყარო), N2127 (Q689-ის წყარო), და N2128 (Q686-ის წყარო).<sup>22</sup>

შესაძლებელია თუ არა, რომ ეს სამი ხელნაწერი – Q1475, N2127 და N2128 – იმ საგალობელთა წიგნებს შორის ყოფილიყო, რომელებზეც ხუნდაძემ პრეტენზია განაცხადა, ხოლო Q684 ერთ-ერთი იმ ხელნაწერთაგანი – რომელიც 1924-1925 წლებში იქნა გადაწერილი? არსებობს ამ ვარაუდის გამამყარებელი რამდენიმე გარემოება.

1. ხელნაწერი Q684 1915 წლის შემდეგ უნდა იყოს გადაწერილი, რადგან ამ წელს ხუნდაძე, საგალობელთა გამრავალხმიანებაზე ჯერ კიდევ აქტიურად მუშაობდა.

2. Q1475 ნიკოლაძის მიერ რედაქტირებული არ ყოფილა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კერესელიძეს ეს ხელნაწერი ხელთ არ ჰქონდა (ხუნდაძის მიერ გასამხმიანებულ სხვა ხელნაწერებში, რომელსაც 1912-1914 წლებში კერესელიძე ფლობდა, ნიკოლაძემ შესწორებები შეიტანა).

3. ხელნაწერი Q684 ნიკოლაძის მიერ იყო რედაქტირებული, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კერესელიძეს სურდა ამ საგალობლების რედაქტირება, მაგრამ ხელნაწერ Q1475-ზე ხელი არ მიუწვდებოდა.

4. ხელნაწერი Q1475, კერესელიძეს არ ეკუთვნოდა 1936 წელს, როდესაც მისი არქივი ახლანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავს გადაეცა.

5. ხელნაწერი Q1475, ხელნაწერ N2127 და N2128-თან ერთად სავარაუდოდ ხუნდაძეს ეკუთვნოდა, რადგან ორივე მათგანი კოლექციის სხვა ხელნაწერებთან ერთად, ხუნდაძის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს გადაეცა.

<sup>21</sup> ექვთიმე კერესელიძე, „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“, Q840, გვ. 65-66. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

<sup>22</sup> ხელნაწერი Q1475, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს ხუნდაძის დანარჩენ კოლექციისთან ერთად – 1930-იან წლებში გადაეცა. მას ბოლო გვერდზე დასმული აქვს ბეჭედი წარწერით: „საქ. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი სეიფი საინვერტარო N16/42“. 1978 წელს, ეს ხელნაწერი როგორდაც ხელნაწერების ეროვნული ცენტრის არქივში, „ლორთქიფანიძის არქივიდან“ მოხვდა. ამ მნიშვნელოვანი ცნობის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს პატივცემულ კოლეგას, მუსიკისმცოდნე დავით შუღლიაშვილს.

ზემოაღნიშნული სამივე ხელნაწერი, კერძესელიძემ ზედმინევნითი სიზუსტით გადაწერა; სამივე ხელნაწერი იდენტურ 12 სანოტო სისტემით აღჭურვილ ქალალდზე შეიქმნა. შედეგად ხელნაწერების ახალი სამუშაო ვარიანტი მივიღეთ, რომელთა რედაქტირებაზე მუშაობა, კერძესელიძემ - ნიკოლაძესთან ერთად განაგრძო. ეს ხელნაწერებია: Q684, Q689 და Q686. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელნაწერ Q684-ის შექმნის თარიღი შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	ხელნაწერი	არქივი	შენიშვნა
1893	Q1475	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ფილიმონ ქორიძე ანტონ დუმბაძისგან ნოტებზე ძლისპირების მელოდიებს იწერს.
1915	Q1475	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ქორიძის მიერ ჩაწერილ მელოდიებს, რაჟდენ ხუნდაძე მეორე და მესამე ხმებს უწყობს.
1924	Q684	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ექვთიმე კერძესელიძე ქმნის Q1475-ის ასლს (სავარაუდოდ ასევე ქმნის N2127-ისა და N2128-ის ხელნაწერ ასლებს).
1924-1925	Q684	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ივლიანე ნიკოლაძე Q684-ის რედაქტირებაზე მუშაობს.
1936	Q684	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	Q684 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წინამორბედ არქივში ხვდება; ხელნაწერი არქივში ექვთიმე კერძესელიძეს შეაქვს.
1937	Q1475	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	Q1475 საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წინამორბედ არქივში ხვდება; ხელნაწერი არქივში სავარაუდოდ შალვა ხუნდაძეს შეაქვს.
1978	Q1475	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	Q1475 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ვინმე ლორთქიფანიძის მიერ არის გადატანილი.
2018	Q684	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	Q684 გადადის ციფრულ სანოტო სისტემაზე (Finale) და ქვეყნდება პირველად.

მოცემული ცხრილი აჩვენებს ხელნაწერ Q1475-ისა და მისი ასლის – Q684-ის ისტორიას. ამ ორ ხელნაწერს შორის ურთიერთკავშირს, ხელნაწერთა მეორე წყვილიც ასახავს, რომლებიც Q1475-ისა და Q684-ის მსგავს გარემოებაში შეიქმნა. ხელნაწერები Q684, Q686 და Q689 კერძესელიძის მიერ, სხვა სამუშაო ხელნაწერებიდან გადაწერილი ასლებია, რომლებიც ხმებში რაჟდენ ხუნდაძემ გაასამხმიანა. დედნები რაჟდენ ხუნდაძის საკუთრებაში დარჩა და მისი გარდაცვალების შემდეგ, 1937 წელს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს გადაეცა, ხოლო კერძესელიძის ასლები, რომელთაც 1920-იან წლებში რედაქტორობა ნიკოლაძემ გაუწია, 1936 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივს გადაეცა.<sup>23</sup>

რეტროსპექტივაში, ფილიმონ ქორიძის გადაწყვეტილებით, ნოტებზე მხოლოდ პირველი ხმა ჩაენერა, ჩვენ დავკარგეთ შესაძლებლობა, დუმბაძის ხმათაშენყობის ოსტატობას ჩვენამდე მოეღწია, თუმცა, მეორე მხრივ, ქორიძემ თავის მიზანს მიაღწია, რაც მაქსიმალური რაოდენობის საგალობელთა მელოდიების ნოტებზე ჩაწერაში მდგომარეობდა; ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღებით, რასაც ქორიძემ სიცოცხლის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა, მან მთელი მსოფლიოს მუსიკალური სამყარო გაამდიდრა.<sup>24</sup> მისი ძალისხმევის წყალობით, შეგვიძლია ნათლად დავინახოთ თუ როგორ უსადაგებდა ანტონ დუმბაძე ამდენი ძლისპირის იშვიათ ტექსტებს, ქართული რვახმის სისტემის მელოდიურ საქცევებს. რვახმის სისტემა მას და მის თანამედროვე მგალობლებს მეხსიერებაში ჰქონდათ შემონახული.<sup>25</sup>

ამგვარად, წინამდებარე ტომში, მოხარული ვართ წარმოგიდგინოთ არაერთი მნიშვნელოვანი ფიგურის მიერ, ქართული საეკლესიო საგალობლების შესანარჩუნებლად განეული შრომის ნაყოფი. ეს არის მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც თავს არ ზოგავდა წმ. ფილიმონ ქორიძისა და მგალობელ ანტონ დუმბაძის მიერ 1893 წელს წამოწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად. ალსანიშნავია მამა რაჟდენ ხუნდაძის დამსახურება, რაც ხელნაწერების უმეტესობის გასამსიანებაში მდგომარეობს, რისი მეშვეობითაც შეიქმნა საგალობლის ის ფუნდამენტური მრავალხმიანი სტრუქტურა, რომლის გარეშეც საგალობელი დაუსრულებელი იქნებოდა. დასაფასებელია რეგენტისა და მგალობლის, ივლიანე ნიკოლაძის მუსიკალური ალდო და დეტალებისადმი დიდი ყურადღება, რამაც საგალობლებს მეტი მუსიკალური გამომსახველობა შესძინა და მათი პოლიფონიური და ჰარმონიული პოტენციალი უფრო ფართოდ დაგვანახა. და ბოლოს, რომ არა წმ. ექვთიმე კერძესელიძის თავდადება და ხელნაწერებისადმი

<sup>23</sup> ამ ჯგუფის ხელნაწერთა ისტორია დიდად განსხვავდება მეორე ჯგუფისგან, კერძოდ Q683, Q687 და Q688 ხელნაწერებისაგან; ისინი ერთხმიან წოტირებულ ჩანაწერებს მოიცავენ, რომლებიც 1910-1911 წლებში კერძესელიძემ ქორიძის ჩანაწერების დედნიდან (H-154) გადაიწერა, ხოლო ლოსაბერიძემ შეინახა. ამ ასლებში ხუნდაძემ 1912 წელს, პირველ ხმას მეორე და მესამე ხმები შეუწყო, ნიკოლაძემ კი 1914 წელს შესწორებები შეიტანა.

<sup>24</sup> 2012 წელს ფილიმონ ქორიძე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. 25 ივლისი მისი ხსენების დღეა.

<sup>25</sup> ამ მელოდიების ხელახალი გასამხმიანება დუმბაძის, ანუ შემოქმედის მონასტრის სამგალობლო სტილში შესაძლებელია. ხელნაწერ Q685-ში, ამ სამომავლო პროექტის გასაღები, გამბედავ მგალობელს ელოდება. Q685, Q1475-ის მონათესავე ხელნაწერია, რომელიც 1893 წელს ასევე ანტონ დუმბაძისაგან ჩაინერეს და რომელიც დუმბაძის პოლიფონიურ-ჰარმონიულ და ორნამენტალ სტილში გადაწყვეტილ მრავალ რთულ სამხმიან საგალობელს მოიცავს.

ერთგულება, რამაც განსაცდელში მათი დაცვა და პატრონობა შეაძლებინა, ეს არაჩვეულებრივი რეპერტუარი დღეს ჩვენ არ გვეცოდინებოდადა მის გალობას ვერ შევძლებდით. ეს გამოცემა ჭეშმარიტად მისი ხედვისა და ოცნების განხორციელებაა, რაც ქართული საგალობლების გადარჩენასა და მომავალ თაობებზე გადაცემას უკავშირდება.

ხელნაწერ Q684-ის ისტორია შესაძლოა, დახლართული ან ტრივიალური მოგვეჩვენოს, მაგრამ მას ისეთივე არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელნაწერის შეცნობისათვის, როგორც, ადამიანის განხილვისას ნებისმიერ ბიოგრაფიულ დეტალს ექნებოდა. წყაროების საფუძვლიანად შესწავლა საშუალებას იძლევა, ღრმად ჩავწვდეთ ხელნაწერის წარმოშობას, მასში შეტანილ ცვლილებებს, მის ისტორიას, ასევე იმ ადამიანების გრძნობებსა და ქმედებებს, რომელთაც თუნდაც მცირე შეხება ჰქონიათ ხელნაწერთან. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს გამოცემა ახალი ფურცელი იქნება ხელნაწერ Q684-ის ისტორიაში, და რომ ამ ძალისხმევით ჩვენ მის ისედაც საყოველთაო არსებობას კიდევ უფრო მეტ აღიარებას, ფასეულობასა და პატივისცემას შევმატებთ.

ჯონ ა. გრემი

## Georgian Primary Sources: An Analysis of Chant Manuscript Q684

To attempt to edit and reprint an original manuscript requires an engagement with its history. More than that, the task requires understanding how and why the manuscript was written, by whom and in what circumstances it was written, and then to follow, as best as possible, the historical life of the manuscript to the present day.<sup>1</sup> Often, a manuscript has a very unique story to tell, especially one that is considered a workbook or a rough draft, because it is in these types of manuscripts that we encounter multiple layers of human engagement, sometimes over many years or even generations. Such a book becomes a repository of those human histories that touched it, each manifesting their own impulses and creative expressions on the open pages of the book. It is true that the story of a book cannot be told like the story of a human being -- in biographical format -- but in some ways they are similar: a book has its own set of parameters by which its story must be told, such as its creation, travels, authors and editors, storage, physical properties, as well as its shifting real and perceived value, its interactions with other books, its wear and tear over time, and importantly, the circumstances of human engagement. It is in these moments, when the book is opened, examined, read, sung, edited, that the researcher finds important clues to the story of the manuscript. In the case of the original document at hand, that which is designated as National Centre of Manuscripts document Q684 (hereafter Q684), we have an original manuscript with a complex and impressive story to tell. For those people that created, edited, and safe guarded this manuscript, the contents were extremely precious. Indeed, the music contained therein reflects the dreams and hopes of its creators to preserve the oral tradition of Georgian liturgical chant, in written form, for future generations of chanters that might sing it once again in Georgian Orthodox services. Thanks be to God, that day is upon us.

Books rarely exist in a vacuum, and Q684 is no exception. This manuscript belongs to a collection of other music manuscripts that interacted as a group, were recopied from one another, were edited together and separately, traveled sometimes together and sometimes independently. If we think about these manuscripts as a family, the closest relative to ms. Q684 among this family of manuscripts would be its direct parent, ms. Q1475, the source manuscript from which all of the chants in Q684 were copied. The precise relationship of these two manuscripts is explored below. Others in the family include close siblings such as Q686 and Q689, which appear to have been copied on similar paper, from similar sources, in similar circumstances, and probably at the same time in the mid-1920s. Separately, there are a set of manuscripts that could be considered cousins: the group of manuscripts Q683, Q687, and Q688. Like Q684, these three were draft manuscripts edited by the same people (Ekvtimé Kereselidze, Razhdén Khundadze, and Ivliáne Nikoladze), but were likely worked on during an earlier period (1910-1914). Using close analysis of manuscript Q684, and its related manuscripts, we attempt to present an informative picture of the history of these books, as they traveled through time and space, and continue to contribute to our collective knowledge of the musical past of the Georgian Orthodox church.<sup>2</sup>

<sup>1</sup> I am grateful to Davit Shugliashvili for his careful review of this article, and to Ekaterine Diasamidze for her thorough editing of the Georgian translation.

<sup>2</sup> Indexing information for manuscript Q684 appears in *Kartuli khelnats'erta aghs'eriloba, akhali* (Q) *k'oleksiisa*, tomi II, Sakartvelos SSR Metsnierebata Ak'ademiis Gamomtsemloba, Tbilisi 1958. Indexing

Manuscript Q684, the designation for the manuscript containing the chants in the present volume, is currently stored in the vault of the National Centre of Manuscripts in Tbilisi, Georgia. It is a large hardback book containing 173 pages of high quality staff-notation paper. The music notation is written in neat pencil strokes, the notes spaced far apart for legibility, and organized for three voice parts in score format, four systems per page. The notation is preceded by a handwritten Table of Contents. On many pages, soft erasures can be made out, where an editor changed a group of notes here and there (more on this below). Overall, the manuscript is in very good physical condition.

The 149 chants written inside ms. Q684 belong to a genre of Orthodox hymn texts called heirmoi (*dzlispiri* in Georgian). These texts originate in Byzantium in the 7th-8th centuries, and were translated into Georgian during that time. Collections of such hymns were collated in *dzlispirni* (Gk. heirmologia) in the ninth-tenth centuries (manuscript A-603 by Iordane is one such Georgian manuscript). Chant texts were accompanied with additional information which helped chanters understand how to perform the text. These rubrics included important information about the text such as the assignment of service, specific ode, and musical tone. Originally, the model melodies for the heirmoi, together with their attendant troparia, were specifically simple melodies that could be sung quickly and easily, as many such texts may be performed within the same service. Over time, these melodies (and in Georgia, their textures and harmonies) became increasingly ornamented, especially those sung on important liturgical feast days such as Nativity or Pascha.

The chants in ms. Q684 are musically impressive, despite the fact that these texts do not reflect the heirmoi of the great feastdays. Like most Georgian chant, the texts are sung simultaneously by all three voice-parts. The musical setting is syllabic, meaning that each syllable is set to just one or two notes. Moments of musical cadencing occasionally demonstrate exceptions to this general rule, when final syllables may receive more melismatic treatment. Because the texts vary in length, the notation of some chants may require just one half page of notation while others require 5 or more pages. Chants are organized into musical phrases, each phrase is approximately one breath long. The most common variant of the medial cadences that separate these phrases is formed by the convergence of the two lower voice parts on a note precisely a fifth below the melodic cadential note. Final cadences, meanwhile, are typically formed with all three voices converging to a unison. A six-note range is typical for the heirmoi melodies, but in moments of voice crossing, it can expand to more than an octave. In the three-voiced context, the close harmony is constrained to a range rarely exceeding two octaves. It is often repeated that Georgian chant is like the Trinity: texts are sung in three voice parts and concludes in musical unison (the 12th century philosopher Ioane Petritsi famously described this analogy).

---

information for manuscript Q1475 appears in a separate, handwritten document, which states a connection between these two documents: "Chants in notation. Handwritten version of Q684." Further information on Q1475 states the origin as "lortkipanidzis arkividan," and the submission date as July 31st, 1978. Updated index information can be found in: Davit Shugliashvili, *Kartuli sagaloblebis khelnats'erta aghs'eriloba da anbanuri k'at'alogi* [Georgian chant manuscripts and alphabetic catalogue]. Edited by Vazha Gvakharia, Davit Shugliashvili, and Nino Razmadze. 2nd Edition (in Georgian). Tbilisi: Chant Center of the Georgian Patriarchate Press, 2013. For more on the historical imperative to record these manuscripts, see John Graham, *The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant*, PhD. diss., Princeton University, 2015.

The known history of ms. Q684 is as follows. On the cover of the manuscript is a note: "Book 9, the heirmologion, transcribed in Ozurgeti, sung by Anton Dumbadze." Anton Dumbadze was a famous master singer in the Guria region of West Georgia.<sup>3</sup> From other sources, we find a variety of information available about these particular chants. For example, it is known that Pilimon Koridze, a trained opera singer, worked with Anton Dumbadze to transcribe these chants in the year 1893.<sup>4</sup> Many of the chants were unfortunately not completed as, for the sake of efficiency, they decided to transcribe only the melodic voice without its accompanying voice parts. The project was financed by Maksime Sharadze and Ekvtime Kereselidze, two dedicated chant supporters who worked at the Sharadze & Friends printing house, a press in Tbilisi during that time. According to a 1941 memoir handwritten by Kereselidze ("The History of the Transcription of Georgian Chant"), one of the only primary sources available to historians, the original Koridze-Dumbadze transcriptions were taken to the Gelati Monastery in Central Georgia in 1912 after the successive deaths of Dumbadze (1907), Sharadze (1908) and Koridze (1911).<sup>5</sup> The collection in Kereselidze's possession comprised hundreds of loose manuscript pages dating from 1883-1908, which Kereselidze then expanded with a whole set of working manuscripts in which he tried to complete the three-voiced harmonization of thousands of chants. In 1936, he entrusted his entire archive -- rough drafts, working drafts, and good copy drafts, some thirty-six manuscripts all together -- to Dimitri Shevarnadze, an important intellectual figure at the time. During the Soviet period, these manuscripts received very little attention. Today, the collection is protected in the National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia). The current publication represents the first public presentation of these chants since their transcription in 1893.

There are several unusual elements to this manuscript that need some unraveling in order to understand what we are holding. Some of the outstanding questions to be discussed are:

---

<sup>3</sup> Anton Dumbadze (1824-1907) was a general in the Georgian militias assisting Russian Imperial forces in their 1878 war with the Ottoman Empire. He had eight sons, several of whom commanded his units as lieutenants. He was also a renowned singer of folk songs and especially liturgical chants, one of the last great representatives of the exquisite local chant tradition at the Shemokmedi Monastery in the Guria region. His students included Melkisedek Nakashidze, Varlam Simonashvili, and Artem Erkomaishvili.

<sup>4</sup> Pilimon Koridze (1835-1911) was a well-known musician in his time. He had a successful career as a soloist on the opera stages of Italy, St. Petersburg, and Tbilisi. In 1883, he was asked to transcribe music from traditional singers in Tbilisi, who performed three-voiced folk and sacred polyphony as an oral tradition. His first attempt at music transcription in 1883 was so well received that he was given a large commission to transcribe the entire repertory of basic service chants - some five hundred chants - a project that he undertook in the West Georgian city of Kutaisi during the years 1885-1886. Following the successful completion of this commission, the project to print these transcriptions stalled for lack of funding, delays in the Russian censor's office, and lack of basic equipment like a press capable of printing music (printing would begin only a decade later in 1895). Anton Dumbadze first met Pilimon Koridze in 1885, when he participated in the transcription project in the city of Kutaisi. A lasting friendship began with Koridze, who later traveled to Dumbadze's hometown (Ozurgeti, Guria region), to record these and other chants in 1893-1894, and again in 1906.

<sup>5</sup> Ekvtime Kereselidze (1865-1944) studied chant in Tbilisi and worked in the Sharadze press, helping to set type for the chant book that were published between 1895-1911. After the dissolution of the press in 1911, he became a monk and spent the remaining decades of his life recopying and organizing the Koridze rough draft transcriptions, as well as commissioning the harmonization of incomplete chants. He is buried in Zedazeni Monastery.

1. The question of scribal authorship: though Pilimon Koridze supposedly transcribed the chants from Anton Dumbadze in 1893, the notation is in Ekvtime Kereselidze's handwriting.<sup>6</sup>

2. The question of musical style: though the melodies in the top voice display the musical characteristics of Anton Dumbadze's style -- such as initiating voice crossing gestures -- the second and third voice parts clearly reflect a different musical style.

3. The question of multiple editors: Kereselidze's hand-written notation has been erased in many places, replaced with notation in a different handwriting.

4. The question of dating: Collectively, these questions place into doubt the dating of this manuscript as originating in 1893, even though other sources confirm that the music was transcribed at that time.

Let's address each of these questions in turn. The question of scribal authorship is quickly answered: ms. Q684 is a copy!<sup>7</sup> The original notation that Pilimon Koridze transcribed from Anton Dumbadze in 1893 is written into a separate manuscript, designated ms. Q1475.<sup>8</sup> At some point, Ekvtime Kereselidze transcribed the entire contents of Q1475 into this manuscript, Q684, note for note. Why this copy was necessary is a question we speculate on further in the essay. Koridze's transcriptions were incomplete at the time of transcription: only the first voice part in ms. Q1475 was written down from master chanter Anton Dumbadze.<sup>9</sup> But Koridze apparently intended to complete the harmonization later, because he left two blank staves below each melody staff.

---

<sup>6</sup> A colophon on the last page of the manuscript, Q684, page 90r, gives a short prayer and then is signed by "Priestmonk Evtim."


<sup>7</sup> The very few discrepancies between the manuscripts are noted in Davit Shugliashvili, *Kartuli sagaloblebis khelnats'erta aghts'eriloba da anbanuri k'at'alogi* [Georgian chant manuscripts and alphabetic catalogue]. Edited by Vazha Gvakharia, Davit Shugliashvili, and Nino Razmadze. 2nd Edition (in Georgian). Tbilisi: Chant Center of the Georgian Patriarchate Press, 2013.

<sup>8</sup> Manuscript Q1475 is not bound, and is a large collection of loosely tied folia containing 188 pages of music notation. The music is written in three-voiced harmony, but was written in different handwriting (Koridze - first voice; Khundadze - second and third voice parts; Kereselidze - rubrics). This is an original manuscript written by Pilimon Koridze in 1893 in Guria, prompted by the master chanter Anton Dumbadze and his students. The only alterations occur in Khundadze's hand, as he took liberties to rewrite and simplify many of the original Dumbadze voice-crossings in the cadences as notated by Koridze. There are no visible edits from Kereselidze or Nikoladze. This manuscript is currently stored at the National Centre of Manuscripts (NCM) in Tbilisi, Georgia. But it did not arrive in this archive via Ekvtime Kereselidze's collection in 1936. Rather, it was stamped as property of the Folklore State Centre of Georgia (perhaps in 1937 along with the other manuscripts in Khundadze's personal collection), and only found its way to the NCM in 1978. Note: there are six chants that have medieval-Georgian style neumes written into them. It is unknown who drew these neumes in red pencil, but they appear similar to Vasil Karbelashvili neumes.

<sup>9</sup> The decision to transcribe only the first voice was made jointly between Pilimon Koridze and the financiers of the project, Maxime Sharadze and Ekvtime Kereselidze. They were worried that there were too many chants to notate from the aging master chanter, Anton Dumbadze, so they decided to focus on transcribing only the most important element of each chant, its melody. They committed to completing the harmonization with other expert chanters. This method of working allowed Koridze to notate hundreds of chant melodies in a short time. The model was repeated a decade later in 1903 when Koridze transcribed 1000 heirmoi melodies from the master chanter Aristovle Kutateladze. From 1912 onwards, Kereselidze worked to complete the harmonization of these melodies by commissioning first Fr. Razhden Khundadze, and later, chanter Ivliane Nikoladze.

This brings us to the second question: that of musical style. This question can also be quickly answered based on recent scholarship: the second and third voice parts were written by the priest and master chanter Razhdan Khundadze, who was commissioned by Kereselidze to harmonize many chants in traditional style between the years 1912-1913.<sup>10</sup> Khundadze completed the three-voiced polyphony of the heirmoi chants by adding second and third voiced harmonization to the original melodies. He employed his own style, which is clearly identifiable due to its abundance of parallel third motion between the second voice part and the original melody.<sup>11</sup> In ms. Q1475, two handwriting styles are identifiable: the melodies in the top line belong to Pilimon Koridze, while the second and third voice parts directly underneath each melody line belong to Razhdan Khundadze (Figure 1).

**Figure 1. *Monebisa misgan mtsarisa* (page 07v, Q1475, NCM)**



<sup>10</sup> John A. Graham, "Ivliane Nikoladze: the Alternate Redacteur of the Georgian Heirmoi," Proceedings of the Fifth International Symposium on Traditional Polyphony, Tbilisi Conservatoire, 2010:425-446.

<sup>11</sup> Razhdan Khundadze (1845-1929), a master chanter originally from Chokhatauri (Guria region), lived most of his life serving as a priest in the city of Kutaisi. In 1885, he participated in the first large-scale transcription project with Koridze as a chanter.

Continuing with the question of musical authorship, let us examine example pages from the manuscripts. In Figure 1, we see the first page of the heirmoi, *Monebisa misgan mtsarisa* as it appears in ms. Q1475. This is a typical-looking page for this manuscript: the music is written in score, one voice part per staff, grouped into three-stave systems on the page.<sup>12</sup> The handwriting of the title, text, and top voice melody belongs to Pilimon Koridze, while that of the lower two voice parts belongs to Razhdzen Khundadze.<sup>13</sup> The key signature includes four flats.<sup>14</sup> Note the final cadence of the previous chant (visible at the top of the page, Figure 1). Here, we see a steep descending melody in the first voice part, a movement that is typical of almost every final cadence in the heirmoi chants transcribed from Anton Dumbadze in this manuscript. In this case, Khundadze follows common practice, writing a second voice that rises above the first voice, creating a moment of voice crossing. But in many of the chants that follow, Khundadze completely rewrote the Dumbadze-Koridze melodic final cadence, effectively eliminating the voice crossing. For advanced performers of these chants, therefore, it is possible to sing the final cadences either with Dumbadze-style voice crossings, or sing the Khundadze simple-style cadences. In Figure 2, we see the same heirmoi as copied into ms. Q684 (reprinted in this volume on page 50). All three voice parts and the text appear in Kereselidze's handwriting, with only a few additions such as bar lines.

Concerning the third question about multiple editors, we examine the role of Ivliane Nikoladze on the music contained in this manuscript. His editing is clearly visible on this page in measures 1 and 2, for example, where several notes in the middle voice have been erased and rewritten in his handwriting (likewise measures 4, 5, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14, and 15 on this page). Note that in this manuscript, almost every note that is *not* a parallel harmonization of the melody represents an intervention by Nikoladze. With these observations, advanced performers of these chants can therefore choose to: 1) sing the chants as printed here in Nikoladze's edited style; 2) sing Khundadze's simple-style original parallel third harmonization in the upper voices; or 3) ornament the chants according to common practice of harmonization and ornamentation in the Gelati monastery style.<sup>15</sup>

---


<sup>12</sup> Note that Koridze's manuscript paper contains 14 staves, similar to the paper in manuscript Q685, which also records transcriptions made from Anton Dumbadze in 1893.

<sup>13</sup> Koridze's note stems often don't touch the note heads, Khundadze's almost always do; Koridze does not write slurs, Khundadze does; their half notes are shaped differently; Koridze's eighth note groupings tend to be spaced wider apart than the Khundadze note groupings. After looking at hundreds of pages of this notation, the differences become more apparent.

<sup>14</sup> Georgian traditional tuning for liturgical chants, as heard in several early-to-mid 20th century recordings, consisted of a heptatonic scale division of the octave. Each interval is wider than a half step, while narrower than a whole step, approximating 150-180 cents in distance. Several theories exist on this topic, as research is ongoing. Considering these points and the difficulties of accurate transcription, these alteration signs can be considered as the best-available compromise when mapping Georgian-tuned chants onto five-line staff notation.

<sup>15</sup> Note that on this page, the bass voice part was not edited. But elsewhere in the manuscript the bass is adapted to fit with new counterpoint in the middle voice, which was clearly the focus of Nikoladze's editing efforts. Nikoladze also added fermatas over each voice part at the end of every medial cadence, something that Koridze did not write in the original transcription in Q1475. It is possible that the addition of fermatas at medial cadences reflected a changing performance practice whereby choirs began to take more time for collective breaths after each musical phrase.

Figure 2: *Monebisa misgan mtsarisa* (page 08r, Q684, NCM)



The question of editing necessarily involves a larger discussion on issues of chant harmonization style, proprietorship of documents, and aesthetic preferences.<sup>16</sup> Kereselidze hired a knowledgeable chanter, Ivliane Nikoladze, to "correct" and "improve" harmonizations that he felt had been poorly constructed by Razhdan Khundadze.<sup>17</sup> As pertains to ms. Q684 specifically, we observe that Nikoladze erased many passages throughout the manuscript (specifically those containing parallel-third harmonization), and replaced them with counter motion and other voice-leading constructions. In his memoir,

<sup>16</sup> The aesthetic preferences for the harmonization of the heirmoi melodies is discussed in the article, John A. Graham, "Ivliane Nikoladze: the Alternate Redacteur of the Georgian Heirmoi," Proceedings of the Fifth International Symposium on Traditional Polyphony, Tbilisi Conservatoire, 2010:425-446.

<sup>17</sup> Ivliane Nikoladze (d. late 1920s?) was a chanter and choir-director in the West Georgian city of Kutaisi. As a young man, he studied European music notation with Pilimon Koridze in 1894, and later helped Kereselidze re-harmonize several chant books in the years 1914-1915, and potentially through the 1920s.

Kereselidze described his editing work with Nikoladze as *ertguli* (faithful, lit. "single-hearted"), and mentioned that even after their intensive work was completed in 1914, they continued to work together "whenever necessary."<sup>18</sup> This comment may be important when considering how to date the copying and editing of ms. Q684, as it would appear to date from after 1914.

The question on when ms. Q684 was copied, and perhaps more significantly, why it was copied, may never be definitely proven. Other than the note on the front page indicating 1893 as the year of original transcription, there are no other dates on the manuscript (as noted above, the year 1893 must refer to Koridze's original transcriptions into ms. Q1475, the original version of our manuscript Q684). There are several curious facts that separate this manuscript from others in the same family however, that might lead to further advances in scholarship. For example, unlike other manuscripts such as Q687 and Q688 that were harmonized by Razhdan Khundadze and then edited directly by Ivliane Nikoladze in 1914, Nikoladze did not edit Q1475. Why would Kereselidze bring some original manuscripts for editing, but not others? Why did he need to make copies of some manuscripts, but not others? The answers may lie in Kereselidze's unpublished memoir, which warrants a brief description here before we return to the question of dating.

According to the Kereselidze memoir (1941), he took all of the manuscripts in his possession to the Gelati Monastery in central Georgia in 1912, where he became a monk and later a priest.<sup>19</sup> As previously discussed, in 1912 he commissioned Razhdan Khundadze to complete the harmonization of Koridze's unfinished chant transcriptions. What we're interested in is who worked on which documents, and when. In several manuscripts, for example, Khundadze's handwriting appears directly beneath Koridze's handwriting in the original transcriptions from the 1890s (such as Q1475). In other cases, Khundadze's handwriting appears beneath Kereselidze's handwriting in what was apparently a copy from another manuscript (such as Q687, Q688, etc.). Does Kereselidze detail when and why he made such copies?

Kereselidze mentions in his memoir, in passing, that he had to recopy several collections of original transcriptions by Koridze in the years 1910-1911 because a man named Losaberidze -- another partner at the press -- claimed them as part of his legal share of assets at the dissolution of the press partnership. The Koridze originals comprised many unfinished heirmoi chants notated from master chanters Anton Dumbadze in 1893 and Aristovle Kutateladze in 1903, and are likely the nine manuscripts that appear under the collective rubric H-154 (National Centre of Manuscripts, Tbilisi, Georgia). Kereselidze rebound his rough draft copies into various working documents, for example, manuscripts Q683, Q686, Q687, Q688, Q689, and folia in Q690 in the National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia). According to Kereselidze, these working

---

<sup>18</sup> Ekvtime Kereselidze, *Istoria kartuli saeklesio sagaloblebis notebze gadaghebisa* (*History of the Preservation of Georgian Church Chant*), Q840, page 58, National Centre of Manuscripts. Tbilisi (in Georgian).

<sup>19</sup> Ibid. According to his memoir, Ekvtime Kereselidze lived at the Gelati monastery from 1912 until 1924 (likely 1923 when the monastery was officially closed). During these years, he labored to recopy, organize, and complete the rough draft transcriptions inherited from Pilimon Koridze. In 1925, he moved back to East Georgia where he settled first at the Svetitskhoveli Cathedral, and later in 1932 in the remote Zedazeni monastery, where he lived until his lonely death in 1944. He was canonized a saint by the Georgian Orthodox Church in 2003. His commemoration day is February 2nd.

documents were given to Khundadze for harmonization between 1912-1913, and then were later edited by Nikoladze in 1914.

Importantly, manuscript Q1475 is not of this group. It is an outlier. It is not a Kereselidze copy, but an original Koridze transcription. Khundadze created his harmonizations of the Koridze-transcribed melodies directly into the original transcription. This work he accomplished in 1915, later than the previous group of manuscripts, as proved by a colophon on page 259.<sup>20</sup> Therefore, Kereselidze's copy of ms. Q1475 into ms. Q684, which included all of Khundadze's additions, must date from after 1915. To find out when, we return to the memoir seeking other possible scenarios in when Kereselidze might have copied entire manuscripts. One episode sparks our curiosity.

In the memoir, Kereselidze describes how in 1924, he was forced to hastily move his entire manuscript collection by horse cart from the Gelati Monastery to the nearby city of Kutaisi, where he hid the chant books in the basement of Razhden Khundadze (this likely happened in 1923, when the Gelati Monastery was aggressively closed by Bolshevik authorities, requiring all of the monastics to flee). When he went to retrieve the manuscripts a year later, Kereselidze reports, a conflict of ownership forced him to spend the following two years recopying some 2000 pages of chant notation.<sup>21</sup> It is quite possible that ms. Q684 was copied from Q1475 at this time. The manuscripts that Khundadze retained in his possession as a result of this conflict found their way posthumously into the "Khundadze Archive" at the Folklore State Centre of Georgia (Tbilisi, Georgia). Most of the manuscripts in that collection are written in Khundadze's hand-writing, but three are different. These manuscripts contain Koridze's handwriting in the first voice, while displaying Khundadze's hand writing in the lower two voice parts. Not coincidentally, these three manuscripts were copied by Kereselidze, and retained among his collection that found its way to another archive, the National Centre of Manuscripts. These are manuscripts Q1475 (source of Q684), ms. No. 2127 (source of Q689), and ms. No. 2128 (source of Q686).<sup>22</sup>

Could it be that ms. Q1475, ms. No. 2127, and ms. No. 2128 were three of those chant books claimed by Khundadze for himself, and that ms. Q684, the source of this publication, was one of those copied after the conflict in 1924-1925? Indeed, several facts support this hypothesis.

1. Ms. Q684 must have been copied from Q1475 *after* 1915.

2. Ms. Q1475 was not edited by Nikoladze, suggesting that Kereselidze did not have control of the manuscript (other manuscripts harmonized by Khundadze, and in Kereselidze's possession from the 1912-1914 period, were edited directly by Nikoladze).

<sup>20</sup> A comment on page 259, ms. Q1475, written in Razhden Khundadze's hand, discusses the quality of the chant melody. The comment is signed by "Fr. Razhden," and dated June 11th, 1915.

<sup>21</sup> Ekvtimé Kereselidze, *Istoria kartuli saeklesio sagaloblebis notebze gadaghebis* (*History of the Preservation of Georgian Church Chant*), Q840, pages 65-66, National Centre of Manuscripts. Tbilisi (in Georgian).

